


წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

15 დეკემბერი 2023წ. №18 (4078) გამომცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი

გილოცავთ დაგვამ უოგა-ახალ წელს!



ტრუმენ კაკოტა

უოგის უოგონაგები

წარმოიდგინეთ გვიანი ნოემბრის ერთი დღეა. ზამთრის დღეა, რომელიც დაახლოებით ოცი წლის წინ დადგა. ასევე, სამზარეულო პროვინციული ქალაქის ერთ ძველ, დაფხავებულ სახლში. სამზარეულოში შესვლისთანავე თვალში მოგზავდება უზარმაზარი შავი ლუმენი, თუმცა თვალს რომ მიაჩვენო, დიდ მრგვალ მაგიდას და ბუხარსაც შეამჩნევთ, რომლის წინ ორი სარწვეველა სკამი დაუდგამთ. წლეულს ეს ბუხარი პირველად აგუგუნდა.

სამზარეულოს ფანჯარასთან ქალი დგას. ქალს თმა მოკლედ აქვს შეჭრილი. ფეხზე ტენისის კედები, ტანზე კი საზაფხულო ჩითის კაბა და ზევიდან ფორმადაკარგული ნაცრისფერი სვიტერი აცვია.

ის ჩია ტანისა და მკვირცხლი, როგორც ბენტამის ჯიშის ქათამი, მაგრამ ახალგაზრდობაში გადატანილი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მხრებში საცოდავად მოხრილა. ქალს გამორჩეული სახის ნაკეთები აქვს, ლინკოლნს რომ ჰქონდა, ისეთი, უხეში და მზისა და ქარისგან გახუნებული, მაგრამ, ამ-ავე დროს, ნაზი, ლამაზი ფორმის, კუპრით შავი თვალებით იბეჭდება შემოკლებით.

▶▶ დასასრული 80-12 გვ.



გზა: აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ

დღეს, პარასკევს, 15 დეკემბერს, საქართველო ლაპარაკობს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის შესახებ. 15 დეკემბერს, ოთხშაბათ დღეს, ლიტერატურის მუზეუმში შედგა თამაზ ნატროშვილის წიგნის „მასპირიყით მალრიბამდე“ მეთხუთმეტი გამოცემის წარდგენა.

რა კავშირია ამ ორ მოვლენას შორის? არც არაფერი. – იტყვიან მეგობრები. და მაინც, რაღაც. – იტყვიან ისევ მეგობრები. ხომ მივდივართ.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. მასპირიყით – მალრიბისაკენ. თამაზ ნატროშვილი მთელი ცხოვრება ამ გზაზე ვიღობდა.

მხატვრულ-ისტორიული ნოველების კრებული „მასპირიყით მალრიბამდე“ პირველად 1974 წელს დაიბეჭდა და მალე ყველა თაობის მიმზიდველ საკითხავად იქცა. საზოგადოება კარგა ხანს ელოდა თამაზ ნატროშვილის გახმაურებული წიგნის ხელახლა ხილვას ახალგაზრდა თაობებისთვის გასაცნობად. სასიამოვნო ფაქტია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, გამომცემლობა „ინტელექტმა“ „მასპირიყით მალრიბამდე“ მალალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდა და მკითხველ საზოგადოებას მიანოდა. გამომცემლობას განზრახული აქვს მწერლის შემოქმედების: მოთხრობების, მხატვრულ-ისტორიული ნოველების, ესეების, კრიტიკული წერილების, სამეცნიერო სტატიების, პოლემიკის რამდენიმე კრებულში თავმოყრა და ფართო მკითხველისთვის გაცნობა.

▶▶ დასასრული 80-2 გვ.

განხილვა პირობა ახვლედიანი – 90

კახი, როგორც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო...

ბიკ არბანაშვილი

თანდათან უფრო დაუფერებელი მეჩვენება ის ამბავი, რომ ჩვენს დროში ჩვენს გვერდით ცხოვრობდა კაცი, რომელიც გულწრფელად ცდილობდა უზმად გაევიწყო ჩვენ შორის და არავინ შეეწუხებინა თავისი არსებობით.


„იცხოვრო იხე, თითქოს არა ხარ. ფეხაკრეფით გაიარო ეს ცხოვრება, თითქოს ვიღაცას სძინავს და არ უნდა გააღვიძო. უსმინო ღვთისგან შექმნილ სამყაროს, ადამიანს – ამაზე დიდი საქმიანობა არ შეუძლება“.

მისი გაგვაღვიძა...

სიცოცხლეშიც სწორად დამართნია ასე. ერთს ეძებდა და მეორეს პოულობდა. ჩვეულებრიობას შენატროდა და გამორჩეულობა ხვდა წილად. უსახელობა მოსწონდა და მხოლოდ სახელით დაიმკვიდრა ადგილი საზოგადოებასა და ქართულ მწერლობაში.

ერლომი მისი ბუნება სახე იყო სიყვარულით, სიხარულით, სიმშვიდით, სულგრძელობით, სიტკბოებით, სიკეთით, სარწმუნოებით, მყუდროებით, მოთმინებით...


მან თავისი სახელიც ეპითეტად აქცია – კეთი-



ლმოხილი, თავმდაბალი, მოკრძალებული, უშუალო, ცნობისმოყვარე, მორწმუნე, უნიკალური და მუდამ გაოცებული სახე ადამიანისა, რომლის მზერაშიც მუდამ პირველქმნილი სამყარო იხატებოდა. ამაზე მეტი ქება შემოქმედის მიმართ სრულიად უსარგებლოა, რადგან საკუთარი ცხოვრების წესით მან უარი თქვა სხვაგვარ პატივზე და ამით გარკვეულწილად ფასიც დაუკარგა მრავალ შინაარსგამოცდილ შედარებას, ხოლო მისი ინდივიდუალობის შესაფასებლად ამ იგავების სათაურები უფრო მეტს ამბობენ ავტორზე, ვიდრე ამას რომელიმე ბიოგრაფი და მეცნიერ-მკვლევარი შეძლებდა.

„გამომგონებელი კაცის ამბავი“, „უბედური კაცის ამბავი“, „მარტოხელა კაცის ამბავი“, „გულმავიწყი კაცის ამბავი“, „კეთილი კაცის ამბავი“, „ფრთხილი კაცის ამბავი“,

▶▶ დასასრული 80-16 გვ.

ჩანაწერები  მიხეილ მესხილი 83.3	ვასტანგ ლამბაშიძის ალბომი  ლალი ავალიანის წერილი 83.4	„ქველი რკვეულიდან“  რაზონ ჩახიკი 83.7	ბროლის ჭალი  თორონია გოგინაშვილი 83.10	ვერლიბრის ისტორიდან  თამარ ბაგდასიანის წერილი 83.15
---	--	---	---	--

პირველი გვერდი



„მაშრიყით მალრიბამდე“ აღმოსავლურ და დასავლურ წყაროებს ეყრდნობა, რომლებზეც მწერალმა ათ წელზე მეტხანს იმუშავა – ყველა დოკუმენტი ორიგინალში წაიკითხა და შეისწავლა. ზოგ მათგანს მან პირველმა მიაკვლია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა. წიგნში „მაშრიყით მალრიბამდე“ – „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ – თავმოყრილია უამრავი დოკუმენტური მასალა, რაც განსაკუთრებით ზრდის წიგნის მნიშვნელობას. თამაზ ნატროშვილმა ფართო საზოგადოებისთვის ნათელი და გასაგები, დახვეწილი ქართული აღწერა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტები, ფაქტები და მოვლენები. წიგნს, უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო-შემეცნიერებითი ღირებულება აქვს. ამასთან იგი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს, რომელიც ავტორის სათავგადასავლო ამბებით დატვირთულ, საინტერესო სამყაროში შეჭვავს.



შეხვედრაზე წიგნი წარადგინეს „ინტელექტის“ მიერ მეოთხე გამოცემის რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ და მწერლის მეუღლემ – ქეთევან ტომარაძემ.

სალამოზე თამაზ ნატროშვილის მეგობრებმა და კოლეგებმა: გრიგოლ ბერაძემ, გია ჟორჯოლიანმა, ნიკო ნახუცრიშვილმა, გოგი ანთელავამ, მაყვალა ბერიანიძემ, მარიკა ჯიქიამ, ნანა კაჭარავამ, ბესიკ ობოლაძემ და სხვებმა გაიხსენეს ჩინებული მკვლევრის მწერლური და ადამიანური ცხოვრების გზა...

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია, „მაშრიყით მალრიბამდე“ რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნოს. ასევე ითქვა, რომ შუამდგომლობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე, რათა თამაზ ნატროშვილის ეს წიგნი საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის პროგრამებში აისახოს და აუცილებელ საკითხავად იქცეს.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაცვალება ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ზურაბ ქარშიძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სიქლიარის გაგალითი

3 დეკემბერს მსოფლო აღნიშნავდა ყველაზე განსაკუთრებული და ულამაზესი ადამიანების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღეს! ამ წერილში ჩემს დიდებულ, საოცრად ნიჭიერ, ულამაზეს კოლხ ქალბატონზე მინდა გიამბოთ, რომელმაც ყავარჯენს დანდობილმა ტკივილებით, ცრემლებით და ბრძოლით მოიტანა ცხოვრება აქამდე.

ქალბატონი მიმოზა ცანავა საზოგადოებაში და მწერალთა რიგებში თავისი ცხოვრებით, შეგნებით, კეთილშობილებით ყოველთვის ბრწყინავს. მიმოზა ცანავას მიერ წარმოდგენილ ავტობიოგრაფიულ მონოსპექტაკლზე „დამსხ-



ვრული ყავარჯენი“ მინვეულნი ბრძანდებოდნენ შშმ პირები, საზოგადოებისა და ქართული მწერლობის წარმომადგენლები.

ვუსმენდით და ჩვენც ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებოდი მისი ცხოვრების ტკივილიან გზა-სავალს, ცრემლი უკრთოდა თვალებში.

სალამოს საოცრად მოუხდა ქალბატონი მიმოზას ლექსებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები: „ჩემო ამღერება“, კომპოზიტორ ია მისაიას მუსიკა, მომღერალ სოფო ბედიას შესრულებით. აგრეთვე „სამეგრელო“, მუსიკა მანანა იმედაძისა, რომელიც შესარულეს ელენე ფოჩხუამ და გოკა პაპასქირმა. ასევე რუსუდან მუმლაძის სიმღერა.

იყო ოვაციები და მხურვალე ტაში! ამაღლებული სალამოს კულმინაცია იყო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიმოზა ცანავა ღირსების მედლით დააჯილდოვა. და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მაყვალა გონაშვილმა გიორგი ლეონიძის პრემია „ნატერის ხე“ და ოქროს მედალი გადასცა! პროზაიკოსმა და მსცოვანმა მხატვარმა რეზო ადამიამ საკუთარი ნახატები გადასცა საჩუქრად.

ციცი გურიელი

პორიგი სემინარი ლიბერალური ინსტიტუტის

29 ნოემბერს ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიური კვლევის ცენტრში გაიმართა მორიგი სემინარი. მომხსენებელი გახლდათ ნაირა ცხვედიანი.

როგორც მომხსენებელმა, პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორმა ნაირა ცხვედიანმა სემინარის მონაწილე მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და ინსტიტუტის თანამშრომლებთან შეხვედრისას აღნიშნა, სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ სათანადოდ სწავლება დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რადგან ზოგადად მხატვრული ტექსტის სწავლების იმ ოთხი აუცილებელი კომპონენტიდან: რას ვასწავლით,

სწავლების რომელ საფეხურზე ვასწავლით, რა მეთოდით ვასწავლით და რამდენად კვალიფიციური პედაგოგი ასწავლის — ბოლო სამი კომპონენტი „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების თვალსაზრისით სახარბიელოდ ვერ გამოიყურება. საბედნიეროდ, დღემდე სათუო არ გამხდარა პირველი კომპონენტი, საერთოდ ვასწავლით თუ არა „ვეფხისტყაოსანს“ სკოლაში, რადგან სწავლების მონივრულად შეფასება მხარდაჭერი არ ჰყავს.

მომხსენებელი შეკრებილებს ესაუბრა სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებასთან დაკავშირებით ელექტრონულ ჟურნალ „მასწავლე-

ბელში“ გამოქვეყნებული თავისი სტატიების: „რა სურს თინათინს?“, „რა შეუძლია ავთანდილს?“, „დანუნებული ბიჭი“ და „უდედონი“ — შესახებ, გაცნო ამ სტატიებში გადმოცემული ტექსტის ახლებური ხედვის ასპექტები, რაც, მისი, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგის აზრით, დაეხმარება მოსწავლეებს განსხვავებული თვლით დაინახონ პოემა და გაუადვილდეთ იმ ნიუანსებს აღქმა, რომლებიც ახალგაზრდებისთვის ერთგვარი „თეთრი ლაქები“ა „ვეფხისტყაოსანში“. მცირე ჩამონათვალი ამგვარი საკითხებისა შემდეგია: რატომ ვერ არის „ლეკვი ლომისა სწორი“; რის გარკვე-

ია სანთელაძე

ქართული მწერლობა



გამომცემლობა „ინტელექტმა“ კვლავ აღადგინა ძველი და პოპულარული ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რომლის რედაქტორები არიან **ირაკლი კაკაბაძე** და **ზვიად კვარაცხელია**. სარედაქციო ჯგუფში შედიან დიზაინერი თეონა ჭანიშვილი და კორექტორი ნატო გორდეღაძე.

კვლავ განახლება

ასე რომ, ვულოცავთ „ქართულ მწერლობას“ კვლავ დაბადებას და ქართულ მწერლობას – კიდევ ერთ ჟურნალს.

ჟურნალი იხსნება ლევან ბერძენიშვილის წერილით „რუსთაველი და პომეროსი“, რომლის მთავარ აზრს გამოხატავს დასკვნითი სიტყვები: „მნამს, რომ დადგება დრო, როდესაც მთელი მსოფლიო აღიარებს ამ გენიალურ პოემას, რომელსაც ასევე გენიალურ „ილიადასთან“ და „ოდისეასთან“ არაერთი მსგავსება აღმოაჩნდა, თუმცა კი, ამ მსგავსებათა მიუხედავად, რთულია იპოვო ერთმანეთისგან ასე განსხვავებული პოემები...“

შემდეგ: ნაწყვეტები დათო ტურაშვილის ახალი სამოგზაურო ნიგნიდან.

გიორგი კაკაბაძე გვთავაზობს ფრაგმენტს დოკუმენტური რომანიდან „დანყველილი დღესასწაული“, რომელიც ცისფერყანელთა პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებზე მოგვითხრობს.

ეკა ქევანიშვილის ლექსი „ყველაზე გრძელი სიყვარული“.

ნანა აბულაძის ფემინისტური ესკიზები საუკუნეთა ჭრილში: სადღეისო პრობლემა ღრმა ფესვებით.

ელა გოჩიაშვილის ინტერვიუ სათაურით „უცხო“ – პოეტი ყოველდღიურობასა და შთაგონებას შორის. ესაუბრა ირაკლი კაკაბაძე. თათია ჯგუშია დავით წერეთლის „შედეგების“ შესახებ.

„კატა და გენერალი“. ნინო ხარატიშვილის ახალი რომანის ფრაგმენტები. გერმანულიდან თარგმანათია მიქაძე-ბახსოლიანმა.

გრიგოლ რობაქიძის ლექსი „ისიდა“ ნუგეშა გაგნიძის თვალთახედვით. ისტორია და ესთეტიკა მითოპოეტურ ფონზე.

პეტერ ჰანდკეს ლექსები კრებულიდან „შიდასამყაროს გარესამყაროს შიდასამყარო“. გერმანულიდან თარგმანა ზვიად რატანიამ.

ლიტერატურული ზღაპარი მწერლებისათვის და არა მარტო მათთვის – მაკა ლდოკონენისგან.

ქართული მწერლობა

გამომცემლობა „ინტელექტმა“ კვლავ აღადგინა ძველი და პოპულარული ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რომლის რედაქტორები არიან **ირაკლი კაკაბაძე** და **ზვიად კვარაცხელია**.

დამოუკიდებელი ლიტერატურული აღმასწავლებელი „ამერიკური“ (2023 წლის გაერთიანებული 1-2 ნომერი) გამოვიდა.

ავტორებს და დაინტერესებულ მკითხველს, ნომრის შეძენა მარტივად შეუძლიათ! მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა N1 (მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზო, რუსთაველის მეგობრები).

ტ. 593324712, 599343727
რედაქტორი ვაჟა ჩორდელი

წინანდლის პრემიის ლაურეატები

- ნიკოლოზ ბაშრაძე
- სანდრო სამხარაძე
- გიორგი კობერიძე
- პაპუნა ფირცხალაიშვილი
- მათე ბაღაშვილი
- ქეთევან კოტირაშვილი
- მიშკო სულაბაძე



8 დეკემბერს ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში გაიმართა „წინანდლის პრემიის“ ლაურეატთა დაჯილდოება. 2023 წლის „წინანდლის პრემიის“ ლაურეატები არიან: თეატრალური ხელოვნება: **ნიკოლოზ ბაქრაძე**; კინოხელოვნება: **სანდრო სამხარაძე**;

მუსიკა: **გიორგი კობერიძე**; პოეზია: **პაპუნა ფირცხალაიშვილი**; პროზა: **მათე ბაღაშვილი**; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: **ქეთევან კოტირაშვილი**; ჰუმანიტარული მეცნიერებები: **გიორგი ჯღარკავა**; სახვითი ხელოვნება: **მიხეილ სულაკაური**.



სახეების კალიგრაფია

გამოვიდა ამირან ლოლაძის პოეტური კრებული „სიტყვის თეოგონია“, რომელიც ავტორის მეორე წიგნია. ამირან ლოლაძე დაიბადა 1951 წელს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ პალიანაში. სწავლობდა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული

ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს საქართველოს უსინათლოთა კავშირის ყოველთვიურ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალ „სინათლის“ მთავარ რედაქტორად. წიგნის რედაქტორი ნინია სადღობელ-შვილი წინასიტყვაობაში წერს: „ამირან ლოლაძის ღრმა, მუსიკალური და ავთენტური პოეტური სამყაროს საიდუმლო მხოლოდ სიყვარულია. პოეტის მრწამსი კი – სიყვარულის ლიტურგიის ერთგულად და უანგაროდ აღსრულება“. კრებულს ერთვის აგრეთვე დინა ანფიმიადის წერილი „სიტყვის თეოგონიის შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ: „ამირან ლოლაძის პოეტური კრებული მრავალი კუთხით საინტერესო და მნიშვნელოვან მოგზაურობას გვთავაზობს. ეს პოეტური გამოხატვის ფორმებისა და სახეების მრავალფეროვანი კალიგრაფიკა, რომელიც არა რომელიმე კონკრეტულ თემას, პოეტურ ფორმას, ლექსის რიტმსა თუ პოეტის სპეციფიკას გვთავაზობს, არამედ ბევრ, სხვადასხვანაირ ხმას, ერთმანეთისგან ზოგჯერ იმდენად განსხვავებულ ტექსტებს, რომ შეიძლება გაიკვიროთ კიდევ, რომ ერთ წიგნში აღმოაჩინო“. კრებული გამოიცა „აკადემიური წიგნის“ ეგიდით. მხატვრულად გააფორმა ქეთი მატაბელმა. დააკაბადონა ნიკოლოზ გელაშვილმა.

„საქართველო, შენ ვინ მოგსა უპილი დასაქარგავი“

ლალი ავალიანი

ვახტანგ ლამბაშიძე – ამაგდარი მამულიშვილი

მიგრაციის პრობლემა დღეს ისე აქტუალურია, როგორც არასდროს. საღმრთო რუბინი, ინდური წარმოშობის ინგლისელმა მწერალმა ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა – თანამედროვე მსოფლიო მიგრანტთა სამყაროა.

ძლიერად ამერიკამ ბევრჯერ მოხადა „ინტელექტუალური ნაღები“ ბებერ ევროპას; „ტვივების გადინება“ გრძელდება „გლობალურ სოფლად“ სახელდებულ მსოფლიოშიც, – ძირითადად „განვითარებადი“ სახელმწიფოების ხარჯზე. ტექნიციზმის არნახულ ზეობას ჰუმანიზმმა და ადამიანის ზნეობამ ვერ აუწყო ფეხი. პოლ ვალერიუსული „სულის კრიზისი“ კვლავ გრძელდება.


ასეთ ვითარებაში, როცა ქართველ ემიგრანტთა რიცხვიც არნახულია, – განსაკუთრებით დასაფასებელია „იძულებითი“ (საქართველოს სამწლიანი მყიფე დამოუკიდებლობის შემდგომი რუსული ბოლშევიკური ანექსიის გამო) ქართული ემიგრაციის უცხოეთში მოღვაწეობის ისტორიის თავდაუზოგავი კვლევა და უდიდესი ძალისხმევა მათი ნამოღვაწის შენარჩუნებისათვის (ამის სასახარულო მაგალითია ლევილის მამულის აღორძინება) და ხელნაწერების, საარქივო თუ იკონოგრაფიული მასალის სამშობლოში დაბრუნება.

ამ მხრივ უნიკალურ ნიმუშად მიმაჩნია „ვახტანგ ლამბაშიძის ალბომის“ მრავალწლიანი „ოდისეის“ შემდგომ მისი სამშობლოში დაბრუნება (ორიგნალი დაცულია მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის ინსტიტუტში). „კვიცი გვარზე ხტისო“ – ეს ანდაზა ზედმინებით მიესადაგება ვახტანგ ლამბაშიძეს: მამამისი დეკანოზი დავით ლამბაშიძე, საზოგადო მოღვაწე და სასულიერო საგანმანათლებლო ჟურნალ „მწყემსის“ (1882-1912) რედაქტორი გახლდათ, დედა ოლღა ჩოფიკაშვილი – ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედის“ X ტომში (1986) არც დავით ლამბაშიძეზე რაიმე ცნობა (ვითარცა სასულიერო მოღვაწე) და არც ქართული კურორტოლოგიის დამაარსებელი ექიმისა და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ლამბაშიძეზე (რადგან 1922 წლიდან საბოლოოდ ემიგრაციაში წავიდა).

უეჭველია, ამ ხარვეზს გამოასწორებს ენციკლოპედია „საქართველო“, მით უმეტეს, რომ ხელთა გვაქვს სრულყოფილი გამოკვლევა ვახტანგ ლამბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

„ვახტანგ ლამბაშიძის ალბომი“ (თბილისი, „ბაკურ სულაკაურის



გამომცემლობა“, 2019) გუნდური მუშაობის ჩინებული ნიმუშია: მის გამოცემაში მონაწილეობდა მრავალი მეცნიერი და მთარგმნელი. პროექტის ავტორი ფილოლოგიის დოქტორი ვულიეტა გაბოძია, რედაქტორი – ჟურნალისტი, მწერალი და ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი – პაატა ნაცვლიშვილი. უმაღლესი პოლიგრაფიული დონე უზრუნველყო კულტურის სამინისტროს ფინანსურმა მხარდაჭერამ, უდიდესი წვლილი მიუძღვით ვახტანგ ლამბაშიძის შთამომავლებს, რომელთაც უშურველად გასცეს „ოქროს წიგნი“, მისივე გადაღებული ჩინებული ფოტოები; საქართველოს საელჩოს საფრანგეთში, თსუ-ს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს და მრავალ პიროვნებას, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდეს ამ დიდებულ გამოცემას. თითოეულ მათგანს დიდი მადლიერებით მოხსენიებს ვულიეტა გაბოძე – გამოცემის მოთავე, აგრეთვე „წინათქმისა“ და გამოკვლევის – „ოქროს წიგნის“ „ოდისეის“ ავტორი. „ოქროს წიგნი“ უწოდებია ამ უნიკალური ხელნაწერი ალბომისათვის ვახტანგ ლამბაშიძეს, ცნობილ ქართველ ექიმს, საზოგადო მოღვაწეს, კურორტოლოგიის ფუძემდებელს საქართველოში, სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამაარსებელს, ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს.

...წიგნი იხსნება აკაკი წერეთლის ლექსით „პატარა ცემი“ და გრძელდება XX საუკუნის ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ჩანაწერებით („წინათქმა“).

ჩანაწერები (ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, ოსმალურ, ესპანურ ენებზე) და ხელმოწერა-ფაქსიმილეები თარიღდება 1904-1946 წლებით და განეკუთვნება როგორც ვახტანგ ლამბაშიძის საქართველოში, ასევე ემიგრაციაში მოღვაწეობის პერიოდს.

გურამ შარაძის, ნინო ლამბაშიძის და პაატა ნაცვლიშვილის

სტატიებისა და ახლადმოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით, ვულიეტა გაბოძე გადმოგვცემს ვახტანგ ლამბაშიძის მოკლე ბიოგრაფიას: „ვახტანგ ლამბაშიძე (1872-1951) – ცნობილი ქართველი ექიმი-პედიატრი, პუბლიცისტი, მონაწილე თბილისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დარსებისა და მისი ერთ-ერთი პირველი ლექტორთაგანი, პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალ „ქართული სამკურნალო ფურცლის“ (1908) რედაქტორ-გამომცემელი, კურორტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, კავკასიის საკურორტო ზონის გამგებელი, საქართველოს დელეგაციის წევრი პარიზის სამედიცინო კონფერენციაზე (1919-1920), კონსტანტინოპოლში „წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებისა და ლტოლვილთა დახმარების წევრი (1923), ემიგრანტი 1922 წლიდან, პარიზში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე (1928-48)...“

ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში სწავლის შემდგომ მან დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი და მამის რჩევით, პარიზში ეზიარა მედიცინის უახლეს მიღწევებს, ხოლო 1898 წელს, საქართველოში დაბრუნებული (ბედის უკუღმართობით, არა სამუდამოდ) აქტიურად შეუდგა სამედიცინო-სამეცნიერო თუ საზოგადო მოღვაწეობას.

რუსეთის იმპერიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში (მამის ხომ „საქართველოდ“ არ ვინოდებოდით), რუსი მეფისნაცვლები, მდიდარი არისტოკრატები თუ „დიდმოხელეები“, ასევე სამღვდლოების ზოგი წარმომადგენელი იოლად ისაკუთრებდა საკურორტო ვარგის ადგილებს (ლიკანი, გაგრა, სინოპი, ათონი და სხვ.). პატარა ცემი „აუთვისებელი“ კი იყო, მაგრამ არც ის გახლდათ გამონაკლისი: ამ მხრივ ნიშანდობლივია ვახტანგ ლამბაშიძის ერთი,



ვახტანგ ლამბაშიძის ალბომი
ALBUM DE VAHKTANG GAMBASHIDZE
VAHKTANG GAMBASHIDZE'S ALBUM

რუსულ პრესაში გამოქვეყნებული განცხადება (ჩვენებურად – რეკლამა):

Санаториумъ
Летняя колония
доктора
Вахтанга Давидовича
Гамбашидзе
„Патара Цеми“
В Боржомскомъ Заповедномъ имени.

ხოლო ეს მამული რომ რომანოვებისა იყო, ყველასათვის ცხადია.

„ნაკადულში“ (1905) გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც პატარა ცემის განსაკუთრებული ჰავის, ბუნებისა და გამაჯანსაღებელი თვისებების აღწერის შემდეგ, გადმოცემულია უახლესი სამკურნალო მეთოდოლოგიის არსი – თანამედროვე უცხოური პრაქტიკის გამოყენებით. იქაური მკურნალობისა და დღის წესრიგის გადმოცემა უცნაურად ემთხვევა თომას მანის „ჯადოსნური მთის“ ბინადართა განრიგს; ვახტანგ ლამბაშიძეზე სამი წლით უმცროსმა თომას მანმა რომანის წერსა 1913-ში დაიწყო: შვეიცარიული სანატორიუმის მკურნალობის მეთოდი თითქმის არ განსხვავდება პატარა ცემის „სახაფხულო კოლონიისაგან“; თუმცა ქართველი ექიმი სანატორიუმს მხოლოდ 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე ამუშავებდა.

„ოქროს წიგნის“ ჩანაწერთა უმრავლესობა საკმაოდ ძნელი წასაკითხია; შემდგენლებს ვულიეტა გაბოძეს და რუსულად კობახიძეს ალბომის ფოტოტიპური გამოცემის დართვით და ჩანაწერების ავტორთა ბიოგრაფიების დადგენით, ვახტანგ ლამბაშიძისა და მისი სიძის გიორგი ნიკოს ძე ნიკოლაძის სხვადასხვა მუზეუმებში ან საოჯახო არქივებში მოპოვებული ფოტოებით, – ის ხელმისაწვდომი გაუხდიათ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ვახტანგ ლამბაშიძის ნაცნობ-მეგობართა წრე მამის წარჩინებულმა ოჯახამაც განსაზღვრა და მისმა მომხიბლობამ, შრომით, ჭკუა-გონებით და სილამაზით გამორჩეულობამაც. მისი ორი შვილის ნათლია აკაკი და კიტა აბაშიძე იყვნენ; ძმა, დავითი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში, მეუღლე – პარიზში გაცნობილი ამერიკელი ქალი ვანდა ჰოპე, იგი ქართულს მალევე დაეუფლა და თბილისის ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში ინგლისურს ასწავლიდა. ტრაგიკული იყო უმცროსი ქალიშვილის შორეულ ქორწინება: მისი რჩეული გახდა სულით, გარეგნობით თუ გონებით „რენესანსული“ პიროვნება: მეტალურგი, მათემატიკოსი, ტანმოვარჯიშე, მთამსვლელი, სპორტული ჯგუფის „შეგარდენის“ დამაარსებელი დამოუკიდებელ საქართველოში (დევიზით – „გუშაგობ ერს? – მარად!“) გიორგი ნიკოლაძე. ისინი პარიზში 1928 წელს დაქორწინდნენ და საქართველოში დაბრუნდნენ. 1931 წელს, დაქვრივებულმა შორეულმა კვლავ პარიზში მიაშურა (დღივ გაჭირვებით – აბელ ენუქიძის ხელშეწყობით)“. ბედის ირონია: მას 1928 წ. 10 ოქტომბერს მამის ალბომში ჩაუწერია: „გამგზავრება პარიზიდან! ...იმედი მაქვს, რომ სულ მალე შეგვხვდებით ერთმანეთს დამოუკიდებელ საქართველოში ან მშვენიერ პარიზში“.

იქვეა გიორგი ნიკოლაძის იმედიანი ჩანაწერიც: „გეტხოვებით საქართველოში დაბრუნების წინ და თან მიმყავს თქვენი შორეულმა მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენი განმორცხვარ არ იქნება ხანგრძლივი“.

1937 წელს შორეულმა ცოლად გაჰყვა დიდგვაროვან მოტლანდიელ პოლკოვნიკ ნილ სტიუარტს და გარდაცვალებამდე მის მამულში ცხოვრობდა.

ვახტანგ ლამბაშიძე მოგვიანებით ამოღო ოცნებობდა „ოქროს წიგნის“ პარიზში დაბეჭდავზე. ლექსები, ესეები, ხელმოწერები ეკუთვნის აკაკის, კიტა აბაშიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ალექსანდრე აბაშელს, ილია ნაკაშიძეს, დუტუ მეგრელს, დავით ავალიანს, ალექსანდრე ხახანაშვილს, იოსებ მჭედლიშვილს და სხვ. აგრეთვე, ქართველ ემიგრანტებს – ექვთიმე თაყაიშვილს, ვიკტორ ნოზაძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მიხაკო წერეთელს, შალვა ამირეჯიბს, რევაზ გაბაშვილს, დათა კაცასაძეს; ოლივერ უორდროპს, ქართველოლოგ რობერტ სტივენსონს, ფრანგ, ქართველ, ესპანელ, რუს, აზერბაიჯანელ ექიმებს...

ჩანაწერთა და მის ავტორთა დახასიათება, ცხადია, გაზეთში არ მოხერხდება. ისედაც სიტყვა გამიგრძელდა. 89 წლის ასაკში სიძის სასახლეში გარდაცვლილი ამაგდარი მამულიშვილი ვახტანგ ლამბაშიძე დაკრძალულია მოტლანდიაში, კინლოხმოიდარტში.

მართლაც რომ – „სადაურსა სად წაიყვან“...

ბენიკო ოზოლაძე

21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელია ისტორიისადმი ინტერესის პროგრესირებადი ზრდა. აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა პოლიტიკური სიტუაციით, ნაციონალისტური განწყობის ზრდითა და „მეხსიერებათა ომებით“.

თანამედროვე მიდგომებით ისტორიული მეცნიერება ე. წ. ისტორიული მეხსიერების ნარატივითაა შეზღუდული, რომლის მიზნადაც გვევლინება ისტორიის პოლიტიზაცია – ე.წ. ისტორიის პოლიტიკა და სოციალური პრაქტიკა. აქედან წარმოიქმნება პარადოქსული სიტუაცია: ისტორიული მეცნიერების როლი კნინდება, ხოლო, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ისტორიული ცოდნის სხვადასხვა ნარატივის როლი იზრდება.

ტრენდია ისტორიის რეპოლიტიზაციაზე, მონოდებები მისი ეთნიკური კომპონენტის წინ წამოწევაზე, იურიდიული და ეთნიკური მოთხოვნადობა ისტორიული ცოდნისა, რომელიც გამოდის როგორც არგუმენტი ქვეყნებსა და ხალხებზე ბრალის დასაბუთებად ან მსჯავრის გამოსატანად. ეს პროცესი ისტორიის იურიდიფიკაციადაც არის სახელდება.

„სწორ“ თანამედროვე პოლიტიკაზე მორგებული პოლიტიკა უკვე აღარ ითვლება ისტორიკოსებისთვის მადისკრედიტებელ გარემოებად. მათთვის განისაზღვრა როლი, იყვნენ მოსამართლეები ან ადვოკატები წარსულის სასამართლო პროცესებზე. ყველა ეს ტენდენცია ახალ ეპოქაში ქმნის გარემოს, სადაც იშლება დისტანცია წარსულსა და დღევანდლობას შორის, ისტორია გარდაიქმნება „გაფართოებულ ანმყოფ“ იმიტომ, რომ სწორედ თანამედროვე მიზნები და ამოცანები განაპირობებს ისტორიის ხელახლა გადაწერას, წარსულის მრავალგზის გადახედვას.

ამ თვალსაზრისით ნამდვილად გამორჩეულია თამაზ ნატროშვილის წიგნი „მამრიყით მალრიბამდე“, რომელიც მიმდინარე წელს ხელახლა გამოიცა. როგორც თავად ავტორთან ვკითხულობთ: წიგნის შინაარსი მოითხოვდა ისტორიული ეპიზოდების მხატვრულ გადმოცემას, მაგრამ ის ყოველთვის რჩებოდა ისტორიის დოკუმენტური სიმართლისა და საკუთარი მეცნიერული ხედვის ერთგული.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ნაშრომში წარმოჩენილ და განალიზებულ ისეთ საკითხებზე, რომლებიც თანამედროვე გლობალური, რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის კვლავ აქტუალურია. პირველ რიგში, ესაა ტერორიზმის პრობლემა.

თამაზ ნატროშვილის მიერ დოკუმენტური პროზის სტილში მოთხრობილი ამბები საშუალებას გვაძლევს, ღრმად ჩავიხედოთ ისტორიული ტერორიზმის ფესვებში, დავინახოთ მისი აღმოცენებისა და განვითარების ლოგიკა, სტრატეგია და ტაქტიკა, რაც საშუალებას იძლევა, უკეთ აღვიკვათ თანამედროვე ტერორიზმის ესა თუ ის მოდიფიკაცია. ერთ ნოველაში, რომელსაც ავტორმა „მულიდები“ უწოდა, განსაკუთრებული ადგილი უკავია ასასინების ორდენზე საუბარს. უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, ასასინებისადმი ინტერესი უსაფრთხოების თემებზე კვლევებში ჩართულ მეცნიერთა და ექსპერტებისთვის იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ ბევრი რამ მათი სტრატეგიიდან და ტაქტიკიდან თანამედროვე ტერორიზმის სხვადასხვა სახეობაში გვხვდება. იუდეური სექტისა და ასასინების ორდენის ტერორისტული ისტორიები ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან და, ასევე, თანამედროვე ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

თანამედროვე და ისტორიული ტერორიზმის მთავარი მახასიათებელია შიშის დათესვა და ძალადობის იდეოლოგია. ავტორი

სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასასინებს მთელი მუსლიმური სამყარო შიშის ქვეშ ჰყავდათ.

თანამედროვე ეპოქაში ტერორისტული ქმედებების ბუნებაში გასარკვევად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული ტერორიზმის არსში გარკვევა. აღნიშნული ნაშრომი, ვფიქრობ, ამ თვალსაზრისითაც აქტუალურია.

ასასინებიდან თანამედროვე ბერორობამდე

გამოხმაურება თამაზ ნატროშვილის წიგნზე „მამრიყით მალრიბამდე“



ტერორის ლოგიკა გულისხმობს უარის თქმას მორალურ პრინციპებსა და ნორმებზე. ტერორისტული მოქმედება ორგანიზატორების მხრიდან მით უფრო წარმატებულიად ითვლება, რაც უფრო ნაკლებადაა შეზღუდული მორალური ნორმებით. შიში აღწევს თავის პიკს, როდესაც საზოგადოებაში არსებობს აღქმა, რომ სასიკვდილო დარტყმა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ მიზანთან მიმართებაში.

ფაქტია, რომ თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობა შედის გაურკვევლობის ახალ ფაზაში – ომები პრინციპით – „ყველა ყველას წინააღმდეგ“, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ტერორისტული მოქმედებების როლსა და შესაძლებლობებს.

დღეისათვის ტერორიზმის არაერთი სახეობა არსებობს: იდეოლოგიური ტერორიზმი, რელიგიური ტერორიზმი, რაციონალური ტერორიზმი, ჰიპერტერორიზმი, აფექტური ტერორიზმი და ა.შ. რაც შეეხება ტერორიზმს თვითმკვლელობით, ის არ შეგვიძლია შევიყვანოთ ტერორიზმის არცერთ ახლადწარმოქმნილ ნაირსახეობაში იმდენად, რამდენადაც მასში არაფერია პრინციპულად ახალი. პირიქით. ტერორიზმის პირველი ისტორიული ფორმა, ასასინების ტერორიზმი, წარმოგვიდგება როგორც მსხვერპლშენიშნის აქტი. მკვლელობის ჩადენის შემდეგ ასასინი მშვიდად რჩებოდა ადგილზე და ელოდა თავის განაჩენს. განაჩენი კი ყოველთვის იყო ერთი – სიკვდილით დასჯა. დასჯის ფორმები კი შესაძლოა განსხვავებული ყოფილიყო: დაცვის მყისიერი რეაგირება, ადგილზე სიკვდილი თუ მოგვიანებით, წამებით სიკვდილი. დოკუმენტურ ნოველაში საინტერესოდ და საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ასასინის მიერ ჩადენილი ტერორისტული ქმედება და მისი თვითაღიარება.

რატომ გახდა თანამედროვე ეპოქაში ტერორიზმის ეს ფორმა ასეთი აქტუალური? მიზეზი, ერთი შეხედვით, პრაგმატულია. თვითმკვლელობით ტერორიზმი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ორგანიზატორები, რომლებიც იყენებენ ამ ტაქტიკას, იღებენ სარგებელს ისე, რომ დიდი ფინანსური დანახარჯები არ სჭირდებათ.

თუმცა არსებობს არაპრაგმატული და ღრმა მიზეზებიც. ასასინების აქტიური მოქმედების პერიოდიდან საუკუნეები გავიდა, რასაც თან ახლდა თანამედროვე ადამიანის რაციონალურობაზე წარმოდგენების ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პროცესი. თვითმკვლელობითი ტერორიზმი – ესაა ტერორიზმის განსაკუთრებული ფორმა. თვითმკვლელი ტერორისტული აქტის შემ-

ევობით იძენს თვითრეალიზაციის შინაარსს და არა პრაგმატული მიზნის მიღწევის საშუალებას. აქ მნიშვნელოვანია მორალური ეფექტი. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ტერორიზმის ამ ფორმის (ტერორიზმი თვითმკვლელობით) ანატომია. ნაჩვენებია ტერორისტული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბების ისტორია, ორგანიზაციული სტრუქტურა. განალიზებულია რეგიონში პოლიტიკური ვითარება და ასასინების პოზიციონირება, მიზნები და ქმედებები, ტერორისტული აქტების ტაქტიკა – მკვლელობა თვითმკვლელი ასასინების მეშვეობით. ასეთი ფორმის ტერორისტული აქტის ჩამდენი კონტიგენტის სელექცია და განვითარება.

თუ პარალელს გავავლებთ ისტორიული ტერორიზმის ამ ფორმასა და თანამედროვე ტერორიზმს შორის, ბევრ ანალოგს დავინახავთ. ასასინების ტერორისტული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ქმედებები და ე. წ. ჰიპერტერორიზმი თანამედროვე უმსხვილესი ტერორისტული ორგანიზაციების ხელწერაა. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა დავინახოთ თ. ნატროშვილის ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. როდესაც უსაფრთხოების პოზიციიდან ვანალიზებთ თანამედროვე კულტურას, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ასასინების შესახებ არასწორი აქცენტებით მიწოდებულ ინფორმაციას დიდი მიზიდულობის ძალა აქვს და სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ახალგაზრდულ აუდიტორიაზე. ამის ნათელი მაგალითია მრავალრიცხოვანი კომპიუტერული თამაშები და ფილმები მსგავსი დასახელებით. აქვე გავიხსენებდი წიგნში აღწერილ სიუჟეტსაც ასასინების როლზე ტრუბადურების შემოქმედებაში.

ახალი ტიპის ტერორიზმი, ჰიპერტერორიზმი სხვადასხვა სახელით მოიხსენიება, ზოგჯერ მას უწოდებენ პოსტკლასიკურ ტერორიზმს, პოსტმოდერნის ეპოქის ტერორიზმს, რადიკალურ ტერორიზმს და ა.შ. მაგრამ საქმე დასახელებაში როდია. კლასიკური ტერორიზმი, რომელიც ცნობილი იყო უკანასკნელ პერიოდამდე, იდეოლოგიური რადიკალებისა და სეპარატისტების ტერორიზმს წარმოადგენდა. მოქმედებდა მჭიდროდ შეკრული ორგანიზაცია საკუთარი მკაფიოდ გამოკვეთილი სტრატეგიითა და ტაქტიკით, ნაციონალური ერთობისა და ნაციონალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ნაციონალური ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

ამასთან ერთად, ისინი ცდილობდნენ, რაღაც ფორმით, ანგარიში გაენიათ ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი მორალისთვის. კლასიკური ტერორი ცდილობდა დაყრდნობოდა კლასიკურ მორალურ სტანდარტებს. გააჩნდა მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნები, რომლებიც მათივე იდეოლოგიური ზრახვებიდან გამომდინარეობდა. აღნიშნულ კონტექსტში „იკითხება“ მათი ტერორი, რევოლუციონერი, ბრძოლა სამართლიანი საქმისათვის და ა. შ. ასასინების მიზნები და მოტივები გასაგები იყო იმდენად, რამდენადაც რაციონალური და რაღაც გარკვეული სახით, საზოგადოებრივი დისკურსის ფორმატში ექცეოდა.

ჰიპერტერორიზმი სრულიად განსხვავებული მოვლენაა. კლასიკური გაგებით, მას რაიმე ზოგადი პოლიტიკური მიზანი არ გააჩნია, არ ექვემდებარება რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ წესრიგს. ის, ჩვეულებრივ, მთელი სამყაროს წინააღმდეგაა მიმართული.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის ეს ფორმა, მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა ისლამურ რადიკალიზმთან, მაგრამ აქვე დავაზუსტებთ, რომ ეს კავშირი როდი ნიშნავს იდენტურობას. ტერორიზმის ამ განსაკუთრებული ფორმისთვის დამახასიათებელია მთელი გარე სამყაროს მიმართ სიძულვილი. ხოლო ადამიანის სიცოცხლე არ წარმოადგენს არანაირ ღირებულებას. ჰიპერტერორიზმის ნიშნებს ბევრი საერთო შეიძლება დაეძებნოს ისტორიულ ტერორიზმთან, თითქმის 900 წლის უკან ჩამოყალიბებულ ასასინების ტერორისტულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან, რომელიც დაახლოებით 200 წლის განმავლობაში რჩებოდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად და შიშის აზრს სცემდა რეგიონში ყველას. მათი მოქმედების ძირითადი თავისებურებები: მუდმივი პროპაგანდა და ახალი მომხრეების მოზიდვა, საქმიანობის საიდუმლო ხასიათი, პოლიტიკური მკვლელობები, როგორც უნივერსალური ბრძოლის საშუალება, თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება ტერორიზმის საშუალებად, ტოტალური დაშინება, ბრძოლა ყველგან და ყველას წინააღმდეგ, დღესაც – საუკუნეების შემდგომ აღმოცენებულ, 21-ე საუკუნის ჰიპერტერორიზმის ეპოქაშიც არ კარგავს აქტუალობას.

როდესაც თამაზ ნატროშვილის აღნიშნული ნაშრომი პირველად გამოიცა, მაშინ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ 21-ე საუკუნის ცივილიზაცია შევიდოდა ჰიპერტერორიზმის ეპოქაში – პოსტმოდერნის, რადიკალური ტერორიზმის ეპოქაში, რომლის საქმიანობის ბევრი ელემენტი ასასინებიდან იღებს სათავეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თ. ნატროშვილს არც ამ თვალსაზრისით უმტყუნა ალლომ. წინასიტყვაობაში ავტორი წერს:

„საქართველო, გასაგებ გარემოებათა გამო, არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი აღმოსავლურ სამყაროს და ამიტომ „ქართლის ცხოვრებას“ ხშირად აუხსახავს იქაური ამბებიც. ქართული ჟამთააღმწერელი, სხვათა შორის, მოიხსენიებს მთელ იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მულიდებს. სწორედ მათ მიუძღვით გარკვეული წვლილი წინააღმდეგარე წიგნის დაბადებაში. ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ ლაკონიურმა ცნობამ და მეორე მხრივ – არაბულ-სპარსულ წყაროებსა და ჯვაროსნულ ქრონიკებში დამონებულმა ზღვა მასალამ მიბიძგა გამეცნო მკითხველისათვის მულიდთა ანუ ასასინთა ვინაობა, მათი ცხოვრების რეალისტური თუ ფანტასტიკური ეპიზოდები, ყველაზე შთამბეჭდავი და კოლორიტული დეტალები. ქართველი მკითხველი მით უფრო უნდა დაინტერესდეს მულიდთა თავგადასავლით, რომ რვა საუკუნის უკან ისინი ქალაქ თბილისშიც ბინადრობდნენ, ხოლო რუსთველოლოგიაში გამოთქმული ერთი მოსაზრების თანახმად, „ვეფხისტყაოსანშიც“ უპოვიათ თავიანთი ადგილი – ზღაპრულ ქაჯთა სახით.“

ეს დასკვნები გარკვეულწილად გვეხმარება თანამედროვე მიმდინარე პროცესების არსში გასარკვევად. ჩვენ უნდა „ნავიკითხოთ“ გლობალური ტენდენციები, ზოგადად, კულტურულ ისტორიულ სივრცეში. თანამედროვე მიდგომა, ისტორიული ცოდნის როლის ცვლილება მიმდინარე პოლიტიკაში, რეპოლიტიზაციის ტრენდი – ეს არაა მხოლოდ ნეგატიური პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც შეიძლება გასწორდეს ან შეკავდეს. ეს თანამედროვე რეალობაა, რომელიც მოითხოვს მის ბუნებაში გარკვევას. წინა პლანზე გამოდის არა ფაქტები მოვლენის შესახებ, არამედ ალქმები. სწორედ აქ დგება ისტორიული ცოდნის ეფექტურად მიწოდების პრობლემა. ზემოთაღნიშნული პრობლემების კონტექსტში უნდა დავინახოთ თვალსაზრისი მწერლის, თამაზ ნატროშვილის შესანიშნავი წიგნიც.

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს", №13 - 17

იბერიის ისტორიული საზღვრები და მისი ფალსიფიკაციის ისტორია

უშანგი პირიძისაშვილი

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, რომ ჰეროდოტეს დროს, ანუ ძვ.წ. V საუკუნეში ალბანელებად წოდებული ტომები ჯერ ისევ თავდაპირველ ალბანეთში, ანუ დაღესტანში, ცხოვრობდნენ, ხოლო არიანეს ცნობის მიხედვით ისინი ძვ.წ. IV ს. ჩამოსულან მტკვრის ხეობაში და დაუკავებიათ კასპიების ადგილი. ანუ, მომხდარა მათი შერწყმა, ასიმილაცია.

მივიღებ დასკვნას, რომ იბერიის ტერიტორიას ალბანელები დაიკავეს ძვ.წ. 670 წლიდან ძვ.წ. 550 წლამდე ესაზღვრებოდა საკების [სკვითების] სამეფო. ძვ.წ. 550 წლიდან ძვ.წ. 330 წლამდე სპარსეთის XV სატრაპია, სადაც მტკვრის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდნენ ძირითადად საკები, ხოლო მარცხენა მხარეს ძირითადად ჯერ კასპიები, შემდეგ ალბანელები.

ძვ.წ. 330 წელს ალდა საკების სამეფო მტკვრის ორივე მხარეს, იბერია - კოლხეთიდან კასპიის ზღვამდე, რაზეც არსებობს შეუვალე საბუთი, რომელიც დღემდე გამოუცნობი დარჩა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის ისტორიისათვის.

საქმე ეხება დღემდე ამოუხსნელი შინაარსის ცნობას, რომელიც მოცემულია ფლავიუს არენეს „ალექსანდრეს ანაბაზისში“ და იხვევს დიდ გაუგებრობას.

არიანე მოგვითხრობს ძვ.წ. 328 წ. შუა აზიაში მყოფ ალექსანდრე მაკედონელთან მისულ ევროპელი სკვითების დელეგაციას და იქვე ამბობს, რომ: „ამასობაში ალექსანდრესთან მოვიდა ფარსმანესი, ხორასმელთა მეფე, ათას ხუთასი მხედრით. ფარსმანესმა თქვა, რომ ის ცხოვრობს კოლხთა მოდგმისა და ამბოხნი ქალეების მეზობლად და თუ ალექსანდრეს სურს, თავს დაესხას კოლხებსა და ამბოხებს და დაიმორჩილოს ევქსინის პონტომდე რომ ვრცელდებიან, ის ტომები. ის ჰპირდება, რომ იქნება მისი მეგობარი და მოუზმადებს ლაშქრისათვის პროვიანტს.“ [IV, 15, 1-7]

ტექსტი გაუგებრობას იწვევს, რადგან კოლხეთი არის შავ ზღვასთან, ამბოხნი კასპიის ზღვასთან, ხოლო ხორეზმი შუა აზიაში და ამიტომ როგორ იქნება ხორეზმის მეფე მათი მეზობელი?

არიანეს მთარგმნელი პროფ. თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ არიანემ კარგად იცის კოლხეთის და ხორეზმის მდებარეობა და შეუძლებელია მას რაიმე შეშლოდა, ამიტომ ხომ არ უნდა გვეფიქრა, რომ ფარსმანესი არაა ხორასმელი? ან, ხომ არაა რაიმე შეცდომა ბერძნულ ხელნაწერში? [5]

ამ მოცემულობამ, გამოკვლევის ნაცვლად, ქართველ მეცნიერებში გააჩინა უსაბუთო და ცუდი ვერსიები. კერძოდ:

ქართველ მეცნიერთა ნაწილი საბუთებისა და სათანადო არგუმენტების გარეშე, ანუ თვითმემოქმედებით, ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ეს ფარსმანესი არის იბერიის მეფე ფარნავაზი, ხოლო მეორე ნაწილი იგივე მეთოდით ამბობს, რომ ის ფარნავაზის მამაა. ორივე ვერსია ამახინჯებს იბერიის და საერთოდ ქართველი ერის ისტორიას.

ფარსმანესი თვითონ ამბობს, რომ „ის ცხოვრობს კოლხთა მოდგმის მიზობლად“, ანუ, ფარსმანესი და მისი სამეფო სხვა მოდგმის ხალხია, ხოლო კოლხები სხვა, უცხო მოდგმაა. ამიტომ ამ ფარსმანესის ფარნავაზად, ან მამამისად გამოცხადება, იმას ნიშნავს,

რომ ალბანელები საქართველოში სხვა მოდგმის ხალხი ცხოვრობდა და დასავლეთში სხვა, რასაც სხვა მტკიცებულებები სჭირდება, ვიდრე თვითმემოქმედებაა.

ჩემი გამოკვლევით, ძვ.წ. 330 წ. სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ XV სატრაპიაში ალდა საკების სამეფო და ეს ფარსმანესი არის ამ სამეფოს მეფე.

შეიძლება ამ სამეფოს ესაზღვრებოდა ჩრდილო-დასავლეთით კოლხური მოდგმა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ამბოხნი, რომლებიც ბერძენი ავტორების მიხედვით ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან. კერძოდ სტრაბონი წერს: „ალბანის ზემოთ მთებში ცხოვრობენ ამბოხნი. თეოფანე, რომელიც იყო პომპეუსის თანამოლაშქრე და იყო ალბანებში, ამბობს, რომ ამბოხებსა და ალბანებს შორის სკვითები, გელები და ლეგები, ცხოვრობდნენ.“ [XI-5-1]

ფარსმანესის მიერ აღწერილი მოცემულობა იმის საბუთია, რომ ძვ.წ. III ს. მტკვრის ორივე მხარე ისევ ერთ სამეფოშია, მაგრამ ეს არის არა ალბანთა, არამედ საკების სამეფო და ეს სახელი ჰქვია ბერძნულ-რომაულ სამყაროში.

საკების სამეფოს სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა სახელს ეძახდა: საკების, სკვითების, აშკენაზის [ბიბლია], მაგრამ ეს იყო მისი თვითდასახელება? ანუ, რას უწოდებდნენ საკები თავიანთ სამეფოს?

როგორც ჩანს, საკები თავიანთ სამეფოს ხორასმელთა სამეფოს ეძახდნენ!!!

ინებთ საბუთები:
1/. ალექსანდრე მაკედონელთან მისული ფარსმანესი თავის თავს კოლხთა მოდგმის და ამბოხნი ქალეების მეზობლად მცხოვრებ ხორასმელთა მეფეს უწოდებს!!!

კოლხური მოდგმა და ამბოხნი ერთდროულად მხოლოდ საკების სამეფოს ესაზღვრებოდნენ!!!

2/. სტრაბონი წერს: „მასაგეტებისა და საკების ტომში შედიან ატასიები და ხორასმელები.“ [XI-8-8] ანუ, ხორასმელები იგივე საკებია!!!

დასახელებული საბუთები და არგუმენტები ერთიანობაში გვაძლევს შეუვალ დასკვნას, რომ ალექსანდრესთან მისული ფარსმანესი არის საკების მეფე, რომლის სამეფო ვრცელდება იბერია-კოლხეთიდან კასპიის ზღვამდე.

მივიღებ დასკვნას, რომ ძვ.წ. 330 წლიდან ალდა საკვითების სამეფო, ხოლო ძვ.წ. III საუკუნიდან სახეზეა ფაქტი, რომ მტკვრის მარჯვენა მხარე, ანუ საკასენე, დიდ არმენიაშია. საგარაუდოდ ამ დროს უნდა შექმნილიყო ალბანეთის სამეფო. მტკვრის მარცხენა მხარეს. [დაწვრილებით იხ. ჩემი დასახ. ნარკვ.]



საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის სამეფოს შექმნის დროს, მის ტერიტორიას ალბანელებიდან მტკვრის ორივე მხარეს ესაზღვრებოდა სკვითების, იგივე საკების, იგივე აშკენაზის, იგივე ხორეზმის სამეფო, რომელშიც მტკვრის მარცხენა მხარეს ცხოვრობდნენ ძირითადად ალბანელი ტომები, ხოლო მარჯვენა მხარეს ძირითადად საკები. ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით მარცხენა მხარეს ერქვა ალბანეთი, ხოლო მარჯვენას საკასენე.

ჯერ ვნახოთ მტკვრის მარცხენა მხარე, სადაც იბერიის ესაზღვრებოდნენ ალბანელები.

ქეთევან მამასახლისის, ვიქტორია ჯულეღისა და დეკანოზ გიგო ბერიშვილის მიერ შექმნილი სამეცნიერო ორტომიანი „მინდა მამათა სწავლანი ბიზანტიურ-ქართულ ინტერდისციპლინარულ ურთიერთობათა კონტექსტში“ გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ნიგნები წარმოგვიდგენს ორი დიდი საეკლესიო მოღვაწის - ლირსი ამონა ნიტრიელის (IV ს.) და სოფრონ იერუსალიმელის (IV-VII სს.) ცხოვრებას და შემოქმედებას. ამონა ნიტრიელის ეპისტოლეებისა და სოფრონ იერუსალიმელის ლიტერატურა და ჰომილეთიკა.

განსჯადი კველი



ქართული თარგმანების პუბლიკაცია დიდად მნიშვნელოვანია ბიზანტიისტიკის იმ მიმართულების სრულყოფილად გასაცნობად, როგორცაა ადრექრისტიანული ასკეტიკური ლიტერატურა და ჰომილეთიკა.

ამ მნიშვნელოვანი პროექტის ავტორებმა გამოიკვლიეს ამონა ნიტრიელისა და სოფრონ იერუსალიმელის ცხოვრება-შემოქმედება სხვადასხვა მიმართულებით. შეისწავლეს შესაბამისი ეპოქების სინამდვილე და ის ურთიერთობა, რომე-

ლიც ამ პერიოდის საქართველოს ჰქონდა აღმოსავლეთ საქრისტიანოს ცენტრებთან, კერძოდ, უძველეს კოპტურ სამყაროსა და იერუსალიმის, ათონისა თუ სინის მთის მნიშვნელოვან კერებთან; ლირსი ამონასა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები შეუდარეს თითქმის ყველა თარგმანს, ფრაგმენტულად თუ სრული სახით მოღრწეულს ჩვენამდე; კრიტიკულად დაადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ადრე გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ტექსტები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რამდენიმე მათგანს არ მოეპოვება ბერძნული დედანი და მხოლოდ ქართული თარგმანის სახით არის შემორჩენილი.

არსებობს და ვითარდება

ჟურნალ „დილას“ მე-6 ნომერიც ტრადიციულდ მრავალფეროვანი და საინტერესოა როგორც ბავშვებისთვის, ისე მათი მშობლებისთვის.

შემოდგომა და საშემოდგომო განწყობილებით იწყება გარეკანიდანვე - ნუგზარ გიგაურის ნახატი შეგვახსენებს, რომ ბავშვებისთვის შემოდგომის ნეიმაც სიხარულის მიზეზია.

ლალი ჯავახიშვილის ლექსი „ქარდიდედაც“ დაწყებულ თემას განაგრძობს.

ია ჯავახიშვილის „კვიცი, კუ და მამალი“ ზღაპარ-მოთხრობაა, პერსონაჟებიც იცინიან და მკითხველებიც.

წარმოგიდგენიათ მართლის მთქმელი მელა? ლალი დაჭავას იგაფში ნახავთ. თან ვის უბედავს კუდაგრძელია! - თვით ვეფხეს, ოღონდ ავადმყოფს.

თინა ლომთაძის „ნელიკო“ - სახალისო რებუსი სერიოზული ამოცანით - როგორ მივიღეთ ლოკოკინა ნელიკოს სასტუმრო სახლში.


გარეულ ხილთა ქება - ვისგან, თუ არა გივი ჩიღვინაძისგან.

ფრაგმენტი კარლო კობერიძის „სიტყვის კონიდან“ და იქვე კროსვორდი თავისი გასაღებით.

თინა ჭევიას მოთხრობა „არც თუ ისე ძველი ამბავი“.

ელიზბარ გაბუნას, ნინო სტურუას, ნინო არსენაშვილს, ხათუნა გულიაშვილს, ნინო კაკაჩიას და მაია კარსელის მხიარული ლექსები და ნაირ-ნაირები. ნინო მუხელი „ყველის სორო“ - ზარმაცი თავუნას ამბავი.

მაია დიაკონიძე მოთხრობით „ლუკმა“: როგორ მოუვიდა უჭმელ რობიკოს ჭამის მადა.



მზია მექერიშვილის გამოცანები და ტინო როსის „ტკილი ღამე“ (ფრანგულიდან თარგმანა რუსუდან გოგბერაშვილმა).

პეპელა ნიოს სტუმრობა. კომიქსი ანტარტიკის ყონულის სახლიდან. ტექსტისა და იდეის ავტორი თამარ გეგეშიძე.

მე-6 ნომერი ფერადი ილუსტრაციებით გააღამაზეს კესო ფრანგიშვილმა, მზია მექერიშვილმა, მალხაზ კუხაშვილმა, იულია ნიკოგოსოვამ, გიორგი ჩაჩანიძემ, თამთა მამუკელაშვილმა, ვაჟა ქურხულმა და, როგორც ზემოთ ითქვა, ნუგზარ გიგაურმა. არ გამოგვცრეს! „დილას“ დამატებაც ახლავს: ქართული ხალხური ლექსების ნიგნაკი.

გელა ცინცაძე

P.S. შაბათს, 9 დეკემბერს, თბილისში, მწერალთა სახლში, გაიმართა „დილას“ ამ ნომრის წარდგინება, რომელსაც ჟურნალის ბევრი მეგობარი და კეთილისმსურველი დაესწრო. დასტურ ითქვა: დაიხ, ჟურნალი „დილა“ არსებობს და ვითარდება.

ნიგნის სახალისო ფესტივალი


23-24 დეკემბერი

ქართული ხალხლოცე

საგანგებო მუშაობის განყოფილება

ფესტივალი ყველასათვის

23-24 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, ნიგნის სახალისო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ნიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ორგანიზაციები, რომლებიც ფესტივალის სტუმრებს ფასდაკლებებს შესთავაზებენ. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ნიგნები როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. ფესტივალზე მოსულ სტუმრებს ნიგნების გამოფენა-გაყიდვასთან ერთად ლიტერატურულ პროგრამაც დახვდებათ. გაიმართება ახალი გამოცემების პრეზენტაციები და დისკუსიები. ფესტივალი მიზნად ისახავს საქართველოში ნიგნის კითხვის პოპულარიზაციასა და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას, საქართველოში ნიგნიერებისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას.



რეჟისორი რაფიკა

„ძველი რეჟისორი“

გურული კრიმანჭული!
ანი თუ დაგივიწყო,
– მოვკვდე, ჩემო აცანა,
ცა ისეთი კრიალაა,
– ღრუბლის ფთილაც არ ჩანა!

შვილებს

მართალი თქვით და
მართალი გზით
– ვლიდეთ ყოველთვის,
თქვენით სიმალე შეემატოს
უნდა მშობელ მთებს,
ტყუილს თუ იტყვიო,
– ისეთი გეთქვათ,
ცოტნემ და ბერმა თევდორემ რომ თქვეს!

* * *

მიჰქრის მატარებელი
– ვაგონია „ესვე“,
შენ ოლონდაც კი თქვი და
– მოგიტაცებ დღესვე“
ჰა, დაფნარის ბაქანი
– ჩემი გულის ბაქანი!
– ასახვევი ოფეთის!
მაშინ მკითხე, გიყვარვარო?
– მე გითხარი, ჰო-მეთქი!

* * *

რკინის რაშით მიეჭრევიარ,
უკან სხედან შვილები.
იქით-აქეთ წვებიან
მოფართხალე ჩრდილები.
არის ერთი ადგილი,
აქ ყოველთვის შევდგები,
შუა შროშაში შროშელებს
გამოუდგამთ; დოქები,
დერგები და სურები,
ჭურები და კეცები;
იქვე თვალის ცეცებით
ჭინჭილებსაც მოვიძევ,
ზოგჯერ მთელი სიცოცხლე
სულ ერთ ლამაზ ნამში ძევს!
კიდევ ერთხელ გეხვეწებით,

კიდევ ერთხელ გაფიცებთ,
შროშელებო, თქვენს ნაშრომს
მომაფრეთ ჩაფიძე;
რადგან ჩემი წინაპრის
ხართ ხორცი და ხართ სისხლი,
„რიკოს უტევს მანქანა,
ხან მზე და ხან ნისლი!“

* * *

ვინ ღვინოა, ვინ მთხლე არი,
ვინ მცხვარია, ვინ კუტია...
მე მყავს ერთი მეგობარი,
გვარად კაკო კეკუტია;
გათლა იცის კაკუტების,
ჩინებული მეგუთნეა;
თბილისთან თუ ჯვარი არი,
ქუთაისთან გეგუთია!

აშლილი ყოვნიშები

ცნობილმა პიანისტმა, რუსუდან ხუნნარიამ,
საუკუნის მიწურულს, ორხევის დასახლებაში
გააკეთა ძალღების თავშესაფარი. რამდენჯერმე
ტელევიზიებმაც გააშუქეს, თუ როგორ უვლიდა,
როგორ ზრუნავდა იგი უპატრონო ძაღლებზე.
მერე კი ვილაც არაკაცებმა დაუნგრეს ყველაფე-
რი და საბრალლო ცხოველები შენობაში გამოწვეს.

ყურძენი ტკბილია,
მწარეა ხუნწკალი,
შენ რას დაეძებ, რუსუდან ხუნნარიავ,
ქუჩაში რამდენი ძაღლია ნუნწკალი?!
ბეკერის ორმო საესეა ძაღლებით
(ჩვენ არ ვედარდებით, ჩვენ არ ვენალვლებით).
გამოსარჩლება მომიწდა, რუსუდან,
თეთრი ბათურა, ღუნღულა ლეკვი
გადარჩა, ქუჩაში გამოცუნცულდა(!).
კრიჭაში ჩამდგარი მე კაცი მაშინებს,
მაშია კისერზე მეც ვიგრძენ ყულფივით,
საზარელია მოსმენა ამ ხმების...
ხერხელამჩაღნილ ძაღლების ყმილის.
ქარია ორხევი საზიზღარი,
ძაღლების საფარში ხანძარი,
ნაწნავი გაშალე, კლავიში აშალე,
რუსუდან ხუნნარიავ!

ლუკა ჭყონიძე

რიგვინი

დაუმთავრებელ ფრაზასავით მოკვდა სალამო
იმ შემოდგომის, უკვე ყველას რომ ავიწყდება,
თითქოს ზამთარი ჩემს ფანჯარას ფიფქებს კარნახობს,
თუმცა რაფას ეს კარნახი ესმის გინებად.
ყინვით დამზრალი პეიზაჟი – თითქოს ნაწილი
ცივი ოთახის, ფარდაგების, სკამის, მაგიდის...
ყარბი მთვარე, ვარსკვლავებმა რომ გაანბილეს
და ამწვევია ტატნობს როგორც ღმერთის ნაბიჯი.
შავი ბურუსით გადაღლილი ჩუმი ქალაქი
და კორპუსებიც ისე დგანან, მსგავსად უბერე-
ბელი ბრძენკაცის. საკვამურებს გათოვებისას -
როგორც ძაღლები ენებს ფიფქებს – ისე უშვერენ.
არადა, რაა, არაფერი, უშნო ამინდი,
რომ არ უხდება პათეტიკა, წერა ლექსების,
შეფერება მხოლოდ თეთრი, მყდერი დუმილი
და ჰგავს სიგარეტს – თან შხამია, თან – ვერ ეშვები.
აი, ასე ვარ, უგერგილოდ, რაც შენ ნახვედი
და ლექსებს გინერ, სულ არ ვდარდობ, თუ არ გამომდის,
დავიპარები სტროფებს შორის და უცაბედად
აღმოვჩენ, რომ ძლივს ვატან იმ სალამომდე,
როცა გაბმულად იწყებს რეკვას ტელეფონი და
გახარებული მივევარდები გასაგონებლად,
ყურმილის მიღმა, სადენებში, სადღაც შორიდან
ისეთი ნდომით ვუსმენ დუმილს, რომ გეგონება
თითქოსდა შემხვდა მეზობელი – თბილი მოკითხვა,
შეპატიჟება სახლში, ყავა, ორცხობილები,
ისე ვბაასობთ, არ გასხენებთ, არც კი არსებობ
და სამეზობლოს ვიკლებთ უშვერ ლანძღვა-გინებით.
და როგორც იქნა, ყურმილიდან მესმის შენი ხმა,
ხათრით და რიდით შემოსილი, მერე თამამი,
წვალე-ჯახირით თითქოს ვშიფრავ როგორც ენიგმას,
ცვდილობ, როგორმე გამოგტყუო რამე ამბავი.
გაგეცინება, როცა რეკავ, ვისხამ სუნამოს,
არასდროს ვარღვევ ტრადიციას მყარი ფიცივით,
„ბევრი მოგვლია“, – ცინიკურად შემომავებებ,
სიტყვას არ ვამბობთ და უბრალოდ ვდგავართ, ვიცინით...
ისე გათიშავ ყურმილს, არც კი მემშვიდობები,
წყდება ბაასი შეგონებით, მსგავსად იგავის,
მე კი კვლავ ვდგავარ გატრუნული ტელეფონთან და

ვფიქრობ: სადა ხარ... და როგორ ხარ... ან თუ იყავი...
მინდა, ოდესმე ნაწვლანებმა ბოლოს დამლალონ,
დაუმთავრებელ ფრაზასავით მოკვდა სალამო...

აწარსლებული კოქსი

სექტემბრის ბოლო. მოღრუბლული, მრუშე ამინდი.
ფანჯრის რაფაზე შერჩენილი მოსალოდნელი
წვიმის სურნელი, რაკუნის რომ შფოთვით გაუდის
და სარკმელებზე თავს იწონებს ჩვეულ მოხდენით.

დილის ბურუსი, მოფენილი კორპუსებს შორის
და ურბანული პეიზაჟი ჩემი სახლიდან.
ქალთა ბუტბუტი, მეზობლებში მიმოცვლა ჭორის:
რომ გაუბოზდა თურმე გოგო სანყალ ნარგიზას.

ეზოში თუთა, აწონილი ამ ფანჯარამდე,
ლამეში ქარი მრავალჯერ რომ გაახშიანა,
ტოტი ისე აქვს გადმოხრილი სარცხის თოკზე,
თითქოსდა მასზე დაკიდებულ შარვალს იპარავს.

სიმსივნესავით მოპარული ცივი საღამო.
ბინის მოთეთრო აგურები განაბული და
ეს ჩემი ეზოც ისე მიცქერს, ნამში მახვედრებს,
მასზე ლექსების წერა ყელში ამოუვიდა.

მე კი რაღა ვქნა, ეს „მე“-ც მხოლოდ პირობითია,
ოთახში ვდუმვარ კლავიშებზე მკედარი ნოტივით,
უაზრობაა, თუკი მთვარემ ღამე გითია
და არ არსებობს ტაეპებშიც რამე მოტივი.

ისლა მტკიცდება ამ სტროფებით, რომ სულ არაა
საჭირო რამე დაამტკიცო, ლექსში მით უფრო,
ზოგჯერ უბრალოდ უნდა იჯდე მარტოდმარტო და
არც სხვას, არც შენს თავს არაფერზე არ ესაუბრო.

დაშრული კოქსი

დაშრა ზღვა, დაშრა მდინარე, დაშრა ტბები თუ რუები,
დაშრა ქოთანში ყვავილი წვიმისგან განაბრუები,
დაშრა თვით წვიმაც, რადგანაც დაშრენ ქაფქაფა ღრუბლები,
დაშრა ჭიქაში წყალი და მე, დამამერალი, ვწუხდები.
და ვარსკვლავისგან ცაც დაშრა, როგორაც წყარო ანკარა,
გამიშვლდა ცივი მთვარე და მყის აიტანა კანკალმა,

დაშრა სახლის წინ გუბურა, ვერ გრილდებიან კატები,
სახურავები მოთქვამენ ცხელ ოზონის მატებით.
დაშრა სასმისში სასმელი – არაყი, ღვინო და ვისკი,
ვერ მბრძანებლობენ ლოთები, მოდი და დროზე დამისხი!..
საღებავებიც კი დაშრა, მხატვრები ტირილს იწყებენ,
პუანტილიზმი, კუბიზმი... შესაბრალისად იწყენენ.
დაშრა თვალბეჭეტი ცრემლები, კენესა, მოთქმა და გოდება...
ცრემლების ნაცვლად სევდისას სიმშრალე გადმოგორდება.
დაშრა საათზე საათი, წუთები, გნებათ – ნამები
და შეეყინათ ღამეებს დედების იავნანები.
დაშრა ყოველი სიტყვა თუ დამშვიდობება, სალამი,
ნეტავი, მეც არ დამიშრეს საგომანები კალა...

კოქსის დაწვინის მცდელობა

თუკი წვიმები... არა, ფუჭია...
წვიმების ჟამი... ესეც არ ვარგა...
ღრუბელს ცრემლები ისე უჭირავს,
თითქოს არ უნდა შვილის დაკარგვა.

ღამის ქუხილი... ბანალურია...
ცარგვალის შფოთვა... მორჩა, მეყოფა...
ბაღში ყვავილებს როცა სწყურიათ,
მაშინლა იჩენს თავს ღამის შფოთვა,

რომელიც ლექსში იმგვარად დაძრწის,
როგორაც ჭერში მშვიერი ვირთხა
და შედარებაც საერთოდ არ ქმნის
რამე ქვეტექსტს, ლოგიკურ კითხვას,

ასე რომ შევინს ღამით დაწერილ
ლექსს თუ მინიშას, ქაოტურ ტრაქტატს
და კორპუსებსაც სიცივით დღაბნის,
ვითომდა უნდა, რომ დარჩეს ფაქტად.

და ზოგი კეტავს, თუკი ღიაა,
ფანჯარას. მერე აფარებს ფარდას,
აქრობს სინათლეს, წვება ლოგინში,
ძილის წინ შფოთავს. და ამას გარდა,

დანარჩენები ჩარაზულ სარკმელს
აღებენ. კენესის ღრუბელთა არფა,
სახურავებზე წვიმის რაკუნის
სიზმრებში ისმის ბავშვობის ზღაპრად.



თორნიკე ბობინაშვილი

ამ ამბის გახსენებაზე რატომღაც პირველად ჭალი მახსენდება, რუს ჭერში რომ ეკიდა... თუმცა სჯობს ყველაფერი თანმიმდევრულად მოვყვეთ და ამბის კომპოზიცია არ დავარღვიოთ.

იმ დროს მე ძალიან უხასიათოდ ვიყავი, მრავალ მიზეზთა გამო კარგი განწყობა იშვიათად მოდიოდა და მეც იძულებული ვიყავი, ან მდუმარედ ვვადარიყავი, ანდაც მარტოს მეთარა პარკებსა და სკვერებში, ამან ჩემი მეგობარი შეანუხა და შემომთავაზა თავისი სოფლის სახლში დამესვენა, მითხრა, წადი, არავინაა იქ, აქაც მარტო ხარ, იქაც მარტო იქნები, მაგრამ სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავ, დამსვენებლებს შეავლებ თვალს, ვილაცას გაიცნობ, ხილს მოწყვეტ, რუსთან გაისეთრებ, წიგნებს ლამაზ ბალებში წაიკითხავ... ჯერ ვიუარე, თუმცა მეორე დილასვე დავრეკე და ვუთხარი, გასაღები მოეცა. მოვიდა, გასაღები მომიტანა და მეც წავედი.

ქალაქთან ახლოს არის, უცებ ავირბინე, ვნახე სახლი, მართლაც საოცარი იყო, პატარა, კოტეჯივით სახლი, ნაც-რისფერი, მუქიწიწვანე სახურავი, წინ ლამაზი ყვავილები, უკან ბაღი, ბაღი ბევრია, მაგრამ იშვიათია ასეთები, დიდი ბილიკი იყო გაჭრილი, აქეთ-იქით ხეხილი, ჩალაგებული ჯარისკაცებივით, რა ხილი აღარ იყო, მწიფე, იმათმა მოტკბო სურნელმა, მოგონებებში ამატივტივა, რა აღარ გამახსენა, ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში ბალებთან, ხეხილთან, ასეთ ამბებთან ყოფილა დაკავშირებული, მოგონებებიდან უცებ გამოვერკვიე და პირველი, რაც გავაკეთე, ალუბალი შევჭამე, ბავშვობიდან მიყვარს ეს ხილი, იმდენად არომატული და ჯანსაღი იყო, რომ გავირინდე, მერე კიდევ, რამდენიმე, კიდევ ვაპირებდი შეჭმას, რომ გამახსენდა, ახალი მოსული ვიყავი, ბარგი მქონდა ამოსალაგებული. ჩემოდანი არ იყო დიდი, მაგრამ მაინც დაბინავება უნდოდა, რამდენიმე ტანსაცმელი იყო, ხუთიოდე წიგნი, ეგზოპერის, სტრინდბერგის, დიკენსის და კიდევ რამდენიმე წერილმანი. წავიდე ბარგი და შევედი სახლში, შიგნით რაც დამხვდა, ეს იყო ჩვეულებრივი რამ, ამ სიტყვების ყველაზე ადამიანური გაგებით, სადა, უბრალო სახლი, იმდენივე ნივთით, რამდენიც საჭიროა არსებობისათვის, ყველა ოთახი არც მიქეცია, ერთი, ყველაზე პატარა ავარჩიე და ბარგი ამოვაღაგე. მერე დაბლა ჩამოვედი, ბაღში კიდევ გავისეთრე, მაშინლა მივხვდი, რომ დიდი არ იყო. გარეთ გამოვედი...

უბანში მხოლოდ რამდენიმე სახლი იდგა და ყველა მათგანს ეტყობოდა რომ დამსვენებელთა ფეხი უფრო ახმაურებდა ეზოებს, ვიდრე ადგილობრივთა. იქით, ცოტა კიდევ იქით, სადაც ბოლო სახლი ჩანდა, შეიმჩნეოდა რუ, რუს პირას სკამები, უკვე ვიცოდი, სადაც უნდა ვმჯდარიყავი ხოლმე ყველაზე ხშირად...

დრო ასე გადიოდა, იმ რუსთან ჯდომა და ნელ-ნელა, სიტყვა, სიტყვით წაკითხვა, ვცდილობდი გარემოს არსებობა კარგად შემეგრძნო და მწერლის სტილსა და სი-

ტყვებსაც ზუსტად მივყოლოდი. ასე ვიჯექი და დრო გამყავდა, მერე ესეირნობდი, მცენარეებს, ხალხს კარგად ვაკვირდებოდი, გარემო კიდევ უფრო მიჩქროლებდა გულს, ხალხიც ადამიანური და წესიერი ჩანდა, ძირითადად გადაღლილი ხალხი, ქალაქის ხმაურს, ქაოსს, ალიქაოთსა და დაღლას გამოქცეული, კარგად ჩაცმული, კარგი მანქანებიდან ჩამოსული, მაგრამ მაინც თავშეკავებული, არც ერთ მათგანს არ ეტყობოდა რომ მატერიალიზმის ჭაობს ჩაეძირა მათი სული, იქ ყოფნა მომწონდა, გულში ვაქებდი მეგობარს და ცოტა ხალხის მოდიოდა კიდევ, ვფიქრობდი რომ ცხოვრების სუნთქვა ყველაზე სასიამოვნო მოსასმენი იყო ადამიანისათვის.

ორი დღის შემდეგ რუს პირას ვკითხულობდი, როცა ბურთი მომიგორდა ფეხებთან, წიგნი დავდე და გავიხედე, შლაპიანი, ჩემი ხნის ქალბატონი იდგა, სახეზე სინანული ეწერა, უხერხულობდა, ჩემს ნათესავს ბურთს ვეთამაშებოდიო, არა უშავს-მეთქი ვუთხარი, მან ბურთი აიღო და გაიქცა, მეორე დღეს უკვე მალაზიაში წასვლისას, გზაზე მომიგორდა ბურთი, მივიხედე, ისევ ის იყო, გამეცინა, მასაც გაცეცინა, რა გაეწყობაო, მითხრა, კიდევ უფრო ხმამაღლა გამეცინა, არ მეშვებაო, ნათესავ ბავშვზე მითხრა.

- ასეთები არიან ბავშვები. - ვუთხარი მე. - რა ექნა აბა, ან მე რა ვიცი ამ ბურთის?

გაცნობა მოჰყვა ამ ამბავს, ოღონდ ეს არ ყოფილა რაიმე, თუნდაც ოდნავი, რომანტიკული შეფერილობის გაცნობა, წმინდად ადამიანური, ჩვეულებრივი, უბრალო, უცხოური სახელი, სილვია მქვიაო მითხრა, იქ ვცხოვრობო ერთ, პატარა მაგრამ ლამაზ სახლზე მიმითითა და თვალები ოდნავ დახუჭა. დახვეწილად ეცვა, შავ-ნაცრისფერებში იყო გამოწყობილი, ხელში დაკეცილი მარაო ეჭირა, წვრილი, ლურჯი თვალები ჰქონდა, ლამაზად გამოყვანილი, საშუალო ზომის ტუჩები და თეთრი, ფითქინა სახე. ისე იცინოდა და ანათებდა, როგორც გახარებული ადამიანის ხული.

მერე ხშირად ვხედავდი, თავის დახრით, თავაზიანად ვესალმებოდი, ისიც - ამგვარად. ერთ დილას მალაზიაში შევხვდით ერთმანეთს, ლიმონათი ვიყიდე, ისიც დავპატიჟე, მუქიწიწვანე პერანგი ეცვა, მარათი ინიავებდა, გამეცინა, მაღლობა, პატივცემულოო, მითხრა. ამ მომართვამ ოდნავ მიცინა გულში, არ მომეწონა, ხუმრობის ტონი შევნიშნე და, ცოტა არ იყოს, ვულგარული მომეჩვენა. თუმცა არც აქ ჩავეყვიე, მერე მკითხა:

- მაგდის ჩოგბურთი გიყვარს?
- კი, რავი, როგორ არ მიყვარს.
- მმ... რა არის იცი, ჩემთან ვთამაშობთ ხოლმე და... საღამოხანს, თუ გინდა გამოგვიარე.
- თუ მინდა?
- უფრო სწორად გამოგვიარე. - გაიცინა ხმამაღლა.
- კარგი.

მთელი დღე ბაღში ვიყავი, ხან ვკითხულობდი, ხან ბალახებში ვინეჭი, ხან ხილს ვჭამდი, მერე მეგობარმა დამირეკა, მომიკითხა, მოვუყვიე ესა და ეს ადამიანი გავიცანი, ამ სახლიდან-მეთქი, არ ვიცოი, მითხრა, მანდ დღეში ათასჯერ იყიდება სახლები და ათასი ყიდულობსო, წარმატებები მისურვა და გამითიშა. ამასობაში მოსალამოვდა კიდევ და მომზადება დავიწყე, არ მინდოდა უსახურად ჩაცმული მივსულიყავი, კორიდორში პატარა, ლამაზი სარკე იყო, ამოვაღაგე ჩემი პერანგები, ხან მწვანე მოვირგე, ხან ლურჯი, ხან მუქინითელი, მაგრამ ეს თეთრი, უფრო სწორად შედედებული რძისფერი, მწვანე, წვრილი ზოლით მხრებთან, ამ ფერისავე ლილეებით, ყველაზე სოლიდური ჩანდა, მით უმეტეს პირველად მიდინარა ადამიანთან, ეს არ არის მეგობრული შეხვედრა, ეს არის შთაბეჭდილებებით სავსე შეხვედრა, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ნაცრისფერი შარვალი და ასეთი პერანგი ყველაზე შესაფერისი იქნებოდა, თმა სწორად დავივარცხნე, ყველა ღილი შევიკარი, თბილსურნელიანი, ნაკლებადვულგარული სუნამო დავისხი და გავედი...

ახლა საჩუქრის დრო იყო, მივედი მალაზიაში, ერთი დიდი კოლფი შოკოლადი ვიყიდე და გავუდექი გზას. მომყვებოდა სოფლის იდუმალი ხმები, ძაღლის ყეფა,

ჭრიჭინების ხმა, რუს ყრუ წკრიალი, მანქანების გაქროლება, ბავშვების ხმაური, მოვაბიჯებდი გახურებულ მიწაზე, ქვიანზე და თავისუფლად ვისუნთქავდი ცხელ, მაგრამ სუფთა ჰაერს. დაეკაკუნე, მალე სირბილის ხმაც გავიგე, სილვია გამოვიდა, მომესალმა და კარი გააღო. უჩუმრად შევედი, აივანზე მუქი ენთო, ისმოდა ხმები, სიცილი, საუბარი, კისკისი. რად გინდოდაო, შოკოლადზე მითხრა და შინ შეიტანა. ხალხს გადავხედე, ექვსი იყვნენ, სამი ქალბატონი, სამი ბატონი. მივესალმე. ისინიც მომესალმნენ. ნათესავი, მეზობელი, მეგობარი, ყველანიირი სტატუსით იყრიდა ეს ხალხი თავს, ზოგი ეწეოდა, ზოგი ხილს ჭამდა, ზოგი უბრალოდ იჯდა და ხალხს უყურებდა. სახლს ცუდი არ ეთქმო-



ბროლის ჭალი

და, ლამაზი აივანი, წინ ბაღი; ხის ტოტები აივანზე გადმოხრილიყვნენ. მაგდაზე ხილი და კონიაკი შევნიშნე. თან თამაშობდნენ, თან საუბრობდნენ. ცოტ-ცოტას სვამდნენ, საუბარზე, ტაქტზე, ჩაცმულობაზე, ყველაფერზე ეტყობოდათ განათლება და გემოვნება.

თავდაპირველად მორიდებით ვიყავი, მერე გავიხსენე, ვითამაშე, ხან ვისთან, ხან ვისთან, ვცდილობდი ისე არ მეთამაშა, რომ დახარბებულის შთაბეჭდილება დამეტოვებინა. კონიაკზეც დამპატიჟეს, ცოტა გავსინჯე, არ ვარგოდა, მაგრამ მაინც დავლიე ერთი ჭიქა. დედამისი გამოვიდა, მოგვესალმა და უკან შებრუნდა. ვერ შევნიშნე, როგორი ადამიანი იყო.

ცოტა ქედმაღალი ხალხი ჩანდა და საუბარში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ჭკვიანურ რამეს იტყოდა, მასპინძელი ყველას სიტყვას აქებდა, ცდილობდა არავის მიმხრობოდა, ცდილობდა მაქსიმალურად ტაქტიანი ყოფილიყო.

სიგარეტს მოვუყიდე და აივნის კუთხესთან მივედი, იქიდან ბაღი ჩანდა, ბაღის კუთხეში საპირფარეო რომ დავინახე, მერე ელა გამახსენდა გავლა.

ბაღის ერთ მხარეს ონკანი იყო, წყალი ოდნავ მოვუშვი, ხელები დავიბანე, თმაზე გადავისვი ხელი. ოდნავ შორიდან ხმადაბალი ლაპარაკი მომესმა, თითქოს ჩემს სახელს მოვკარი ყური. მასპინძელი და დედამისი ისხდნენ. ლაპარაკობდნენ. საფულე დავკარგეო, დედამისი ამბობდა.

- საფულე აღარ მაქვს!
- ვინ აიღებდა?
- ვის უნდა აეღო?
- ეგ ტიპი სად გაიცანი? სად ნახე? აბა სხვა ვინ? ისედაც რომ შეხედავ, იდიოტს ჰგავს, უფრო სწორად დამნაშავეს, შეიძლება... რა ვიცი, ვინ არის!

- ჰო, არ ვიცი, აქ გავიცანი, ადამიანის გაცნობა დანაშაულია? სულ კითხულობს! დედამისი ცხარობდა, წიგნებს დამნაშავეებიც კითხულობენო. ისიც დაეთანხმასავით, მეც ვატყობ, მთლად დალაგებული არ არისო, მაგრამ ასე ხელალებით... ვის გაუგიაო ადამიანის ათვალწუნება და შეძლება...

უცებ ტელეფონმა დარეკა. დედამისი წამოდგა, ლაპარაკით წამოვიდა იქით, სადაც მე ვიდექი. მალა ავედი.

ვიცოდი, გაპარვა ცუდი იყო, თუმცა არც ის ვიცოდი, დარჩენა რას მიქადდა. სილვია მალე დაბრუნდა, იმაზე მალე, ვიდრე ველოდი, არც ის იმჩნევდა რამეს, მაგრამ საუბარში, მოძრაობაში მაინც ეტყობოდა ლეღვა, ჩემს ნათქვამზე ხშირად ამბობდა:

- არ ვიცი.

მე ვიცოდი, რომ დედამისი დაუდევარი, უთავბოლო ქალი იყო და იმ საფულესაც მალე იპოვიდა. აივანზე გამოვიდა, აწინა, მოდიო, მე ამ დროს ვთამაშობდი, კართან არ ვიდექი ახლოს, ამიტომ რაღაც უნდა მომეფიქრებინა, ასეც მოვიქციე, ძლიერად დავარტყი და მეტოქეს ჩავეგდე, ბურთი გადმოვარდა და კართან დავარდა, ის გაიქცა ასაღებად, მაგრამ დავასწარი, მე ავიღებ-მეთქი. ვითომ ფეხი გადამიბრუნდა, უფრო წინ გავედი, ის და დედამისი კართან იდგნენ, ბედად, ერთ ფრაზას მოვკარი ყური და ეს ფრაზა ყველაფერს ნიშნავდა:

- სად იდო? - იკითხა მან.

მეტი აღარ გამიგია, აღარც მაინტერესებდა. ბურთი ავიღე და წამოვედი. მოვუბოდიშე, უნდა ნავიდე, დამირეკეს, საქმეები მაქვს-მეთქი.

ვერ ვისვენებდი, დაბრალება და თან იერზე აქცენტი... მწარედ მეცივნებოდა, უხერხულობას და იმედგაცრუებას განვიცდიდი...

დიდხანს არ დამეძინა, მერე როგორც იყო წამიღო ძილმა და კომპარი დამესიზმრა, დაბურულ ტყეში მივბოდი, დიდი, გაბრაზებული ნადირი მომდევდა, ქობს შევეფარე, ქალი დამხვდა, ლამაზი, ნახევრად შიშველი, მთხვავი მისვლიყავი, მივედი, ჩამოვეჯექი, კოცნა დამიპირა და ამ დროს ნადირი შემოვარდა, წამოვტიქი...

*

სახლი არ მქონდა დათვალეიერებული კარგად, ცოტა გონს მოვედი და შევეყვიე, გიტარა ვიპოვე, ასანყობი იყო, ავანყე, გამოვედი გარეთ და ნელა-ნელა დავინწყე დაკვრა, ვუკრავდი ჩემს საყვარელ მელოდიებს. მთვარიანი ღამე იყო, ხმა არსაიდან ისმოდა, ეზოს წინ გამოვედი, იქ დავჯექი, არ ვიცი რატომ, ღობეს მივეყრდენი. განვავრდი დაკვრა, ცა უჩვეულოდ ლურჯი იყო, ჰაერი სქელი და ბლანტი, ჭრიჭინების ხმა წამოვიდა და შორიდან მანქანების ხმაურიც აჰყვა, ბალახების სიმწვანე, ცამდე, ნაცრისფერი შეფერილობის სივრცე და ლურჯი ცა, ისე ერეოდა გიტარის ხმას, რომ ცოტა ხნით წყენაც დამავინყდა, სიზმარიც და მანამდე არსებული პრობლემებიც. ვუკრავდი ლამაზ, წყნარ მელოდას, ვუკრავდი და მერე შორს, იმის სახლთან დავინახე რაღაც, უფრო სწორად ვილაც, დავინახე დავდე გიტარა, ავდექი, ის იყო, ინსტიტუტურად წავედი, ისიც წამოვიდა, სადაც ათი მეტრიღა იყო ჩვენს შორის, ასე გავჩერდი, სახეს ვერ ვხედავდი კარგად.

- შენ უკრავდი ხო?
- ჰო.
- ჰოოო... კარგად გცოდნია.

- ეხლა რა გინდა აქ? - ვკითხე ისე, თავადაც არ ვიცი რატომ.

- გამანერვიულეს სახლში და... შენ? - მითხრა გულწრფელად, მე გამეცინა მის გულწრფელობაზე და თავი ოდნავ დავხარე.

- ვერ ვიძინებ.

- ჰოოო... - ინტონაციაში შევამჩნიე სინანული, ან მსურდა, რომ შემემჩნია. რატომ? შეიძლება გულწრფელი იყო ეს სინანული, შეიძლება არც, ან შეიძლება ჩემი წარმოდგენა იყო, არ ვიცი. ერთი ვიცოდი, ჩვენ მეტი შეხვედრა აღარ გვეწერა. დავემშვიდობე ცივად, ხვალ მქონდა წასვლა გადაწყვეტილი. ეტყობა, რაღაცის თქმა კიდევ სურდა, რისი, არ ვიცი. ნელა მოვაბიჯებდი, უკან მესმოდა მისი ნაბიჯების ხმა, სწრაფი, ალღევებული ნაბიჯები იყო. ფიქრებში წავედი, წავედი და რაც უნდა უცნაური იყოს. როცა ეს ამბავი გავისხენე, გონებაში რაც პირველი ამოტივტივდა, ეს იყო ჭალი, რომელიც ოთახში ეკიდათ. მაშინ დავინახე, როცა ბურთის ასაღებად წავედი. დავინახე, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. ეს იყო ბროლის უზარმაზარი მანათობელი, რომელიც საშინლად უფერულ ოთახს აფერადებდა, ახლაც, როცა ეს ამბავი გამახსენდება, პირველად სწორედ ჭალი ამოტივტივდება ხოლმე, მაგრამ რა ჯანდაბაა ეს ჭალი? რა შუაშია...

ისევ ქართული ერის შესახებ ანუ თანამოსის სინდრომი

▶▶ დასასრული. დასაწყისი "სს.№15-17

ლიმიტრი შველიძე

თანათმოსისკენ მიდრეკილების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში

თანამედროვე დასავლური მოდერნის-ტული სკოლის წარმომადგენელი თეორეტიკოსები არ იცნობენ საქართველოს ისტორიას, ჩვენი საზოგადოების ნაციონალური ევოლუციის სურათს. რონალდ სუნის ნაშრომი ერთ-ერთი უმცირესთაგანია, რომელიც სხვებზე მეტად ითვალისწინებს საქართველოს ისტორიულ წარსულს. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომი შეიცავს ბევრ საეჭვო ფორმულირებას და მადლიერებასთან ერთად სერიოზულ კრიტიკულ მიდგომასაც იმსახურებს, რომ აღარაფერი ვთქვათ უსაფუძვლო უცნაურობებზე.

საქართველოს შესახებ ისტორიული და თანამედროვე ინფორმაციის სიღარიბეს დასავლელი მეცნიერებიც აღნიშნავენ. ენტონი დ. სმიტი წერს: „...ინფორმაცია, რომლის მოძიებაც შეიძლება შესაბამის ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძალზე მწირია. თემები, რომელთა გარშემოც, ჩვეულებრივ, თავს იყრის ისტორიული აღწერილობანი თუ განზოგადებანი, ზოგჯერ იმედაცრუებას იწვევს, რადგანაც მათში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სოციალური მეცნიერების თეორიული მიღწევები. ყოველივე ეს ხელს უშლის იმ ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობის ღრმა წვდომას, რომელიც ოქროს საწმისთან, უფლის კვართთან და ვარდების რევოლუციაში ნაშობ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსთან ასოცირდება“ (ენტონი დ. სმიტი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. 2004. გვ. 15).

საინტერესოა, სმიტის აზრით, რომელ სახელმწიფოთა ან ხალხთა და ნაციონალური ჯგუფის ასოცირდება საქართველო და ქართველები. სმიტის აზრით, ესენია ეთნონაციონალიზმის მატარებელი ხალხები, როგორც არიან: „თამაღისი, სიქუები, მოროსი, ბალუხები, პათანები, უზბეკები, ყაზახები, სომხები, აზერები (აზერბაიჯანელები), ქურთები, ქართველები, პალესტინელები, სამხრეთ სუდანელები, ერთრეელები, ტიგრები, ორომო, ლუო, განდა, ნდებელე, ოვიმბუნდუ, ბაკონგო, ლუნდა, ევე, იბო და მრავალი სხვა...“ (ენტონი დ. სმიტი. ნაციონალიზმი იდენტობა. თარგმანი ლელა პატარაიძემ. 2008. გვ. 15).

სამწუხაროა, რომ ენტონი სმიტი სათანადოდ არ იცნობს საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას, ისე როგორც სომხეთის ძველი პერიოდის წარსულს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ძველი საქართველოს ისტორიაში ეროვნული კონსოლიდაციის მეტი ნიშნები დაენახა და გაენაწილებინა. მაგრამ ის, რაც ვერ გააკეთა ეთნოსიმბოლიზმის შემოქმედმა, უნდა გააკეთონ ქართველმა მეცნიერებმა. ჯერჯერობით კი უნდა ითქვას, რომ ეთნოსიმბოლიზმის მიდგომას ქართველი ერის რაობისა და ჩამოყალიბების გარემოებების შესახებ არაერთი სერიოზული ხარვეზი აქვს.

ეთნოსიმბოლიზმი იდეას აპრიორულად პირველადობას, პრიორიტეტს ანიჭებს რეალობასთან შედარებით. მისი მტკიცებით, ერი, ნაცია არის იდეა, ხალხის მიჯაჭვულობა, ხალხის მობილიზაცია იდეის გარშემო, ერის იდეის გარშემო. ეს მხოლოდ ემოციური ფაქტორია.

ქართველი ერის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესი ობიექტურმა, რეალურმა მატერიალურმა ფაქტორებმა გამოიწვია.

ერთ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს თავდაცვა უზიძველდა ურთიერთსოლიდარობისაკენ, რათა კონსოლიდირებულად შეხვედროდნენ საფრთხეებს. ეს მათ უადვილდებოდათ და ასეც იქცეოდნენ. ურთიერთსოლიდარობა შექმნა რეალურმა გარემომ, პირობებმა და მერე ომე ერთობის იდეა. მერე მოხდა ერთობის იდეური გაფორმება გადმოცემებით, ინფორმაციის გადაცემით თაობებიდან თაობებში. აი, ეს კი მეორადია. ეთნოსიმბოლიზმი თავდაყირა აყენებს რეალობას.

ხალხთა დიდი თუ მცირე გადასახლებების დროს იდეა კი არ მიერეკებოდა ხალხებს ახალ-ახალი ადგილებისაკენ, არამედ რეალური მიზანი, რომ ეპოვნათ მეტ-ნაკლებად შესაფერისი მიწები საცხოვრებლად და დასამკვიდრებლად. აღარ მასსოვს, თურქეთის რომელი პრეზიდენტი იყო, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე რომ განაცხადა: ჩვენ ჩვენი სამშობლო გზაზე შემთხვევით არ გვიპოვია, ჩვენ იგი ბრძოლით მოვიპოვეთ. აქ რეალობა იყო პირველადი და არა იდეა. მთლად ნუ ჩავიძირებთ შუა საუკუნეების რელიგიურ ექსტაზში თუ იდეალისტურ თეორიებში. მატერიალისტურსაც დავუტოვოთ ადგილი.

ჯერ ქართულ-პროტოქართული გვაროვნული ჯგუფები გაჩნდა, შემდეგ – ტომობრივი, რეგიონალური და ბოლოს ქვეყნის მასშტაბის მომცველი ერთობები შეიქმნა მატერიალურ, ურთიერთდახმარებისა თუ ურთიერთდამორჩილების ნიადაგზე. შემდეგ კი იდეა, ქართველობა, მამული და ა. შ., ისტორიის გარკვეულ საფეხურებზე.

ჩვენ, უბრალოდ, მატერიალისტურ ფაქტორს ვანიჭებთ პრიორიტეტს და იდეალისტურს მეორადს. სიმბოლოები, მითები, გადმოცემები, ფოლკლორი – მეორადი ფაქტორებია და ისინი თანმდევი ასახვები იყო, რეალურად მომხდარისა და მომხდარის ასახვა და შედუღება. ეთნოსიმბოლიზმის თეორიულ სისტემაში – სიმბოლოები გადამწყვეტი და პირველადი, რაც ამ თეორიას სრულიად ხელოვნურს ხდის. თუმცა ბევრი არაისტორიული ერის მიმართ ერების „გამოგონება“ იდეოლოგიურად კონსტრუირების შესახებ ეთნოსიმბოლიზმი რელევანტური თეორიაა.

და მთავარი. ახალ, თანამედროვე თეორიებში წინააღმდეგობებისა და განსხვავებების წინააღმდეგობაა. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც წინააღმდეგობას იწვევს, ის არის, რომ ბევრი დასავლელი ავტორი აღიარებს ნაციონალიზმამდელი ერების არსებობის ფაქტს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ჩვენი ავტორიც საუბრობს ადრეული ქართველი ერის არსებობის შესახებ. ამჯერად ჩვენ კვლავ გავიმეორებთ გია ნოდის მოსაზრების ნაწილს, ყოველგვარი „თუ“-ს გარეშე და ჩავთვლით, რომ მან, მართალია, განუზრახვლად, მაგრამ უნებურად განაგრძო ილია ჭავჭავაძის ტრადიცია: „თანამედროვე ქართველი ერი იმთავითვე ჩაისახა როგორც ისტორიული ერი, რაც ნიშნავს, რომ მას შეეძლო აპელირება სახელმწიფოებრიობისა და სამწერლობო ენის ხანგრძლივ ტრადიციაზე, ასევე ავტოკეფალიურ ეკლესიაზე, რომელიც ამ ენას იყენებდა“.

კარგი იქნებოდა, რომ ბ-ნი გია ნოდის თეზისი გაეზარებინათ ილიაუნის კონფერენციის სხვა მონაწილეებს და ფორმულისთვისაც ეწოდებინათ არა საეჭვო, არაადეკვატური, ბოლოს და ბოლოს, სადავო-საკამათო „ქართველი ერის დაბადება“, არამედ „თანამედროვე ქართველი ერის დაბადება“. მაგრამ ასე არ მოხდა და მივიღეთ სრულიად უარმყოფელი, დამაზიანებელი სათაურიც და ფორმულაც: „ქართველი ერის დაბადება“.

სხვათა შორის, მოდერნული სკოლის წარმომადგენელია ისტორიკოსი მარიამ ჩხარტიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელს წერდა და უნდა დავეთანხმეთ, რომ:

„X-XI საუკუნეებში წარმოიშვა მტკიცე შიდა სოციალური შეჭიდულობის მქონე საქართველო-კოლექტივი ანუ პრემოდერნული ქართველი ნაცია, ხოლო XIX საუკუნეში ამ უკანასკნელს დაეფუძნა მოდერნული ქართული ნაცია“ (მარიამ ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში. 2009. გვ. 9). სავესები სწორი, ობიექტურ რეალობაზე დამყარებული ფორმულირება. ეს ის შემთხვევაა, როცა ტრადიციული და თანამედროვე მოდერნული თვალსაზრისები შეთანხმების, თანაზიარობის სივრცეში თავსდებიან. სამწუხაროდ, ავტორი ამ ფორმულას არც ამ ნაშრომში და არც შემდგომ ნაშრომებში არ იმეორებს და „ერის“ ნაცვლად შემოაქვს ტერმინი „ეთნიკ“, რომელიც ჯერჯერობით ქართულ ისტორიოგრაფიაში არავის გაუზიარებია, არც ტრადიციონალისტებს და არც მოდერნისტებს.

დავუბრუნდეთ „პრემოდერნულ ქართულ ნაციას“. საკითხის ამგვარი ფორმულირება თითქმის აერთებს ქართველი ერის წარმოშობის შესახებ ორივე არსებულ, ტრადიციულ და მოდერნულ, კვალიფიკაციებს ან ქმნის საამისო სივრცეს.

რაც მთავარია, ტერმინებისა და ცნებების შინაარსი, რომლებსაც იყენებს ორივე სკოლა, არსობრივად ერთნაირია და ერთსა და იმავე მოვლენას გამოხატავს. მაგ., მოდერნული სკოლის წარმომადგენელთა მიერ გამოყენებული ტერმინები „პრემოდერნული“, „ნაციონალიზმამდელი“ ან ილია ჭავჭავაძის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „ისტორიული ერი“, რომელსაც ახსენებს გია ნოდია, ყველა ეს ტერმინი ერთი და იმავე მოვლენის აღმნიშვნელი ცნებაა იმისა, რომ ადრე შუა საუკუნეების პერიოდში მიმდინარე ქმნადობის შედეგად შეიქმნა ნაციონალიზმამდელი ქართველი ისტორიული ერი.

ფაქტობრივად, ნაციონალიზმამდელი თუ პრემოდერნული ქართველი ერი ნიშნავს ზოგადად ქართველი ერის წარმოქმნას. ამგვარი ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი კონსენსუსის შედეგად გზა ეხსნება ტრადიციული და თანამედროვე-მოდერნული სკოლების კონსენსუსს და ყალიბდება ურთიერთსაზიარო ფორმულა – ძველი, ისტორიული, პრემოდერნული ქართველი ერი საბოლოოდ ჩამოყალიბდა X-XII საუკუნეების დიდ ეპოქაში.

მსგავსი ფორმულირება შესაძლებელს ხდის ისტორიული, პრემოდერნული ქართველი ერის აღიარების ლეგიტიმურებას საერთო ქართული ისტორიოგრაფიის დონეზე და ხსნის წინააღმდეგობას ტრადიციულ და მოდერნულ სკოლებს შორის.

დასასრულ დავასკვნით, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა და X-XII საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართველი ისტორიული ერი, რომელსაც შესაძლოა ვუნოდოთ პრემოდერნული, ნაციონალიზმამდელი, ადრეული თუ ფეოდალური ერი. ყველა შემთხვევაში, არსი და მოვლენა ერთი და იგივეა და ნიშნავს, რომ ქართველი ერი, როგორც ეროვნული ერთობა, არსებობდა შუა საუკუნეების კლასიკური ეპოქიდან.

ამის შემდეგ სრულიად გასაგებია ხდება XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროცესები, როდესაც ილია ჭავჭავაძის ლიდერობით თერგდალეულთა ბრძოლა წარმართა – დაცემული ვინაობის, დასუსტებული ეროვნული ერთობისა და იდენტობის აღდგენა-აღორძინებისათვის, რაც დასრულდა ახალი ეპოქის, თანამედროვე ქართველი ერის ფორმირებით.

იქნება თუ არა, წინამდებარე ნაშრომის უკანასკნელ ორ აბზაცში ჩამოყალიბებული ფორმულირება მისაღები ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ორივე, ტრადიციონალისტური და მოდერნული სკოლებისთვის? სასურველი იქნება, თუ საერთო ქართული ისტორიოგრაფიული სკოლა დასავლური მეცნიერებს თავად შევთავაზებთ საკუთარ ობიექტურ, ისტორიულ რეალობაზე დამყარებულ ფორმულას და არ დაკმაყოფილდება გარედან შემოთავაზებული მზა, არაადეკვატური თეორიებით.

ლიტერატურული კონკურსი „სხვიტორი“

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია

აცხადებენ ლიტერატურულ კონკურსს - „სხვიტორი“. კონკურსი ფართომასშტაბიანია. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. საკონკურსოდ დაიშვება გამოცემლობებისა და ლიტერატურული პერიოდიკის მიერ 2023 წელს ნაბეჭდი სახით გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებები. კონკურსის დანიშნულებაა დააფასოს შემოქმედებითი ინტელიგენცია, წაახალისოს ახალგაზრდები, ხელი შეუწყოს ახალი ტალანტების გამოვლენას, ლიტერატურული პერიოდიკისა და გამოცემლობათა მოტივაციის ამაღლებას.

პრემია „სხვიტორი“ გაიცემა შემდეგ ნომინაციაში:

პოეზია - წლის საუკეთესო კრებული/პოეტური ციკლი — 500 ლარი.

პროზა - წლის საუკეთესო ნიგნი/ნაწარმოები — 500 ლარი.

კრიტიკა, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა - წლის საუკეთესო ნიგნი/სტატიები — 500 ლარი.

საყმაწვილო ლიტერატურა - წლის საუკეთესო საბავშვო ნიგნი/ნაწარმოები — 500 ლარი.

გარდა აღნიშნული ლიტერატურული პრემიებისა, დაწესებულია „აკაკის მედალი“ — 1000 ლარი.

„აკაკის მედალი“ გაიცემა აკაკის შემოქმედების კვლევასა და კულტურულ, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში განუვლი დანაწილსათვის, ასევე მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.

საკონკურსო მასალების გამოგზავნა აუცილებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. მასალები მიიღება 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ლაურეატთა დაჯილდოება მოხდება 21 ივნისს, სხვიტორში, აკაკის დაბადების დღეს.

საკონკურსო მასალები (ნაბეჭდი სახით) იგზავნება შემდეგ მისამართზე:

4000, საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვიტორი. ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი. (ლიტერატურული კონკურსისათვის - „სხვიტორი“)

ელექტრონული ვერსია იგზავნება მისამართზე: asmatiashvili@yahoo.com

საკონტაქტო ტელეფონი: 577 97 79 70

გზაგადასასრული მონასტრისკენ

გამომცემლობა „გრდემლი“ გამოსცა ეკლესიის დიდი მამის – ბასილი კესარიელის სამოღვაწეო ნიგნი „ასკეტიკონი“.

ტექსტი გამოცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა.

ეს არის „ასკეტიკონის“ პირველი გამოცემა. მას სამოღვაწეო ნიგნი იმიტომ ეწოდება, რომ ავტორი განიხილავს მონასტრული ცხოვრების ძირითად პრინციპებსა და კანონებს. „ასკეტიკონი“ წარმოადგენს გზამკვლევს ქრისტიანული სრულყოფილების მოსურნეთათვის.


ქართული თარგმანი ეკუთვნის XI საუკუნის მთარგმნელსა და მწიგნობარს ეფრემ მცირეს, რომელსაც ტექსტისთვის დაურთავს ისტორიულ-ფილოლოგიური შენიშვნები.

„ასკეტიკონის“ ფრემისული რედაქცია განსაკუთრებული ღირებულების თარგმანია (A689 და A132 ნუსხები). იგი ვულგატის ტიპისაა და შესრულებულია შავი მთის მონასტრში.

ნიგნის გამოცემა განხორციელდა მარტყოფის ყოველთა წმიდათა მონასტრის საგანმანათლებლო ცენტრის მხარდაჭერით.



ასკეტიკონი



ტრუმენ კაპოტი

პირველი გვერდი

და მორცხვი გამომეტყველებით. „ღმერთო ჩემო,“ ნამოიძახა ქალმა და სუნთქვა ფანჯრის მინას შეაორთქლა, „ნამდვილი ხილის ნამცხვრის ამინდია!“

ის, ვისაც ეს ქალი ელაპარაკება, მე ვარ. მე შეიძინე წლის ვარ, ის კი სამოცზე ცოტა მეტის. ჩვენ ბიძაშვილები ვართ, შორეული და, რაც თავი მახსოვს, სულ ერთად ვცხოვრობთ. სახლში სხვებიც ცხოვრობენ, ჩვენი ნათესავები. ისინი ჩვენზე ბატონობენ და ხშირად კიდევ გვატირებენ, მაგრამ ჩვენ მათ დღიად ვერც ვამჩნევთ. მე და ეს ქალი საუკეთესო მეგობრები ვართ. ის მე „ბადის“ მეძახის, იმ ბიჭის ხსოვნის პატივსაცემად, რომელიც ადრე მისი საუკეთესო მეგობარი იყო. ის ბაღი 80-იან წლებში გარდაიცვალა, ეს ქალი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, თუმცა, ის ახლაც ბავშვია.

„სანამ სანოლიდან ავდგებოდი, უკვე ვიცოდი,“ თქვა ქალმა, რომელსაც სახეზე დაუოკებელი სურვილი ანერია, და ფანჯარას მოშორდა. „ქალაქის ზარმა ისე ხმამაღლა და ცივად დარეკა, ჩიტების ჭიჭიკიც აღარ ისმოდა; ალბათ უკვე თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. ხო, ნამდვილად ასე იქნება. ოჰ, ბაღი, შეეშვი მაგ ორცხობილის გამოტყენვას და ჩვენი ეტლი მოიყვანე. ქუდის პოვნაში დამეხმარე. ოცდაათი ნამცხვარი გვაქვს გამოსაცხობი.“

ყოველთვის ერთი და იგივე მეორდება: როგორც კი ნოემბრის დილა თენდება, ჩემი მეგობარი, რომელსაც, ფანტაზია გაელვიდა და გულს ცეცხლი შემოენთო, თითქოს საზეიმოდ აღნიშნავდეს შობის დღესასწაულს, ხმამაღლა აცხადებს: „ხილის ნამცხვრის ამინდია! ჩვენი ეტლი მოიყვანე. ქუდი მომაძებნიე“.

ქუდი ვიპოვეთ, ურმის თვალვით მრგვალი ჩალის ქუდი ზედ მიბნეული ფერგახუნებული ხავერდის ვარდებით, ერთ დროს ჩვენი ნათესავს რომ ეკუთვნოდა და თავის ნათესავისგან განსხვავებით, უფრო მოდაზე რომ იცვამდა, იმას. ერთად მივაგორებთ ჩვენს ეტლს. ბაღი გავიარეთ და პეკანის კორომში შევედით. ეს ეტლი მე მეკუთვნის, უფრო სწორად, ჩემთვის იყიდეს, რომ დავიბაძე, მაშინ. ეტლი წნელებისგან შეკრული ერთი ჯაბახანა რამეა, ბორბლები ლითონ კაპის ფეხებივით რომ უჯახცახებს, მაგრამ ის ჩვენი ერთგული მეგობარია. გაზაფხულზე, ეტლი ტყეში მიგვყავს და მას ჩვენი ვერანდის ქოთნებისთვის ყვავილებით, სამკურნალო ბალახებით და ველური გვიმრით ვავსებთ; ზაფხულობით, ზედ საპიკიკე რამე-რუმეებს და შაქრის ლერწმისგან დამზადებულ ანკუსებს დავავსებთ ხოლმე და მდინარის ნაპირზე ჩავდივართ; არც ზამთარშია ის ჩვენთვის უსარგებლო: მისი დახმარებით ეზოდან სამზარეულოში შემას ვეზიდებით; ის თბილი ლოგინიც არის ჩვენი ქვინისთვის, პატარა თეთრ-ყვითელ რეტ ტერაიერისთვის, რომელმაც ძაღლის ჭირი და ორი ჩხრიალა გველის ნაკბენი გადაიტანა და ცოცხალი გადაარჩა. ქვინი ახლა ჩვენ გვერდით მოძუნძუნებს.

სამი საათის შემდეგ უკან ვბრუნდებით და სამზარეულოში ფოთლებშემოძარცვული პეკანებით დახვავებულ ეტლს შემოვავაგორებთ. ზურგი გვტკივა, იმდენი გეყვაროვით: რა ძნელი იყო მათი პოვნა გაყინული მაცდური ბალახის ქვეშ(ძირითადი მოსავალი ხომ ხეებიდან ბაღის მესაკუთრეებმა (რომლებიც ჩვენ არ ვართ) დაბერტყეს და გაყიდეს). ხრამ! გაისმის

მხიარული ხრამუნი, პატარა მხის გავარდნის ხმით იმსხვრევა ნაჭუჭი და ტკბილი სპილოსძელისფერი ცხიმინი ხორცის ოქროს გროვები ცვივა შუშის ჯამში. ქვინი მუდარის თვალებით გვთხოვს გავასინჯოთ, და ჩემი მეგობარიც ზოგჯერ ჩუმ-ჩუმად ნაუგდება ხოლმე პანანინა ნაჭრებს და თან წუნუნებს, რომ საკუთარ თავს ვაკლებთ. „ალარ გვინდა, ბაღი. თუ დაეინყეთ, ველარ გავჩერდებით. აქ რაც არის, ძლივს გვეყოფა ოცდაათი ნამცხვარზე.“ სამზარეულოში ნელ-ნელა ბინდი ჩამოწვა. სიბნელეში ფანჯარა სარკედ გადაიქცა, რომელშიც ჩვენი აჩრდილები ბუხრის ცეცხლის ფონზე ამომავალ მთვარეს შეერია. იმ დროისთვის, როცა მთვარე ცის კაბადონს მიაღწევს, ჩვენ ბუხარში შემოსი ბოლო ნაჭრებს შევყრით და ხვნეშით დაველოდებით, როდის ააღდება. ეტლი ცარიელია და ჯამიც კიდემდა გადავსებული.

ვივანძვით (ცივი ორცხობილები, ლორი და მაცვლის ჯემი მივირთვით) და ხვალინდელი დღე განვიხილეთ. ხვალ, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, ის საქმეები იწყება: უნდა ვიყიდეთ ალუბალი და ციტრონი, ჯანჯაფილი და ვანილი და ჰავაური ანანასის კონსერვები, ქიშიში და ნიგოზი და ვისკი და, რა თქმა უნდა, ბევრი ფქვილი, კარაქი, კვერცხი, საკმაზები და სანელებლები: იმდენი გამოდის, რომ ეტლის სატარებლად ალბათ პირი დავაგჭირდებოდა.


მაგრამ ამ ყველაფრის საყიდლად ფულია საჭირო, რაც არცერთ ჩვენგანს არ გაგვანია, თუ არ ჩავთვლით იმ მიზერულ თანხებს, სახლში მცხოვრები სხვა ადამიანები დროდადრო რომ ნამოგვივადებენ (ათი ცენტის ძალიან დიდ ფულად ითვლება); ან რასაც თვითონ ვმოულობთ სხვადასხვა საქმიანობით: ხარახურის, ხელით მოკრეფილი კენკრის, სახლში მოდულულები ჯემის და ვაშლის ყელეს და ატმის მურაბის გაყიდვით, პანაშვილებისა და ქორწილებისთვის ყვავილების თაიგულების დამზადებით. ერთხელ, ეროვნულ საფეხბურთო კონკურსში სამოცდამეცხრამეტე პრიზი მოვიგეთ, რამაც ხუთი დოლარი შეადგინა. ფეხბურთის დიდი არაფერი გაგვეგება. უბრალოდ, ნებისმიერ კონკურსში ვებმებით, თუკი გავიგეთ: ამჟამად მთელ იმედებს ორმოცდაათ დოლარიან დიდ პრიზზე ვამყარებთ. მის მოსაპოვებლად ყავის ახალი ბრენდი უნდა გამოვიცნოთ (ჩვენი ვარიანტი იყო „A.M.“, რომელიც ბევრი ყოყმანის შემდეგ შევთავაზეთ, რადგან ჩემი მეგობრის აზრით, სავაჭრო ნიშანი, ცოტა არ იყოს, მკრეხელურად უღერს - „A.M.! ამინ!“ სიმართლე გითხრათ, ერთადერთი, მართლაც რომ სარფიანი ღონისძიება გართობის და ბუნების სიმახინჯეების მუზეუმი იყო, რომელიც ორი წლის წინ უკანა ეზოში მდგარ შემოსი ფარდულში მოვანყვეთ. გასართობ პროგრამაში შედიოდა ვამინტონის და ნიუ იორკის სლაიდების ჩვენება ჩვენი ნათესავის მიერ ნათხოვარი სტერეოსკოპური პროექტორის საშუალებით. ეს ჩვენი ნათესავი ხსენებულ ადგილებში იყო ნამყოფი (ის საშინლად გაბრაზდა, როცა გაიგო, რისთვის გამოვართვით ეს აპარატი); ბუნების სიმახინჯეებს რაც შეეხება, მის როლში ჩვენი ერთ-ერთი ქათმის მიერ გამოჩენილი სამფეხა წინილა ნარმოვადგინეთ. სამეზობლოში ყველას საშინლად უნდოდა ამ პატარა წინილას ნახვა; დიდებს 5 ცენტს ვახდევინებდით, პატარებს კი ორს. მუზეუმის დახურვამდე, რაც მთავარი ექსპონატის გარდაცვალებამ გამოიწვია, სადაც ოც დოლარამდე გამოვიმუშავეთ.

ასეა თუ ისე, ყოველ წელს შობაზე ფულს ვაგროვებთ ხილის ნამცხვრის ფონდისთვის. ამ ფულს ძველ მძივებიან საფულეში ვდებთ და ჩუმად ვინახავთ, ჩემი მეგობრის სანოლის ქვეშ რომ ღამის ქოთანია, იმის ქვეშ, უფრო სწორად, იმ მოყანალებული იატაკის ფიცრის ქვეშ, რომელზეც ეს ქოთანი დგას...

გათენდა. ბალახს გაყინული თრთოვლი მოსდებია და ვერცხლისფრად ბრწყინავს; მზე ისეთი მრგვალია, როგორც ფორთოხალი და ეს ფორთოხალი, ეს ცხელი ამინდის მთვარე ჰორიზონტზე განოლიდა და ზამთრის ტყეებს ვერცხლისფრად აბრდღვივებებს. სადაც გარეული ინდური კავკავებს. ბუჩქებში გარეული ღორი ღრუჭუნებს. მალე, მუხლებამდე ღრმა და ჩქარ ნაკადში შევალით, სადაც ეტლის დატოვება მოგვინებს. წყალში პირველი ქვინი შედის, ფეხების ქნევით წინ მიიწევს და ყვფით მდინარის ჩქარ დინებაზე

და წყლის სიცივეზე ჩივის. წყალი მართლაც ისეთია ცივია, რომ ადვილად შეიძლება ანევი-მონია აიკიდო. ჩვენ უკან მივყვებით ისე, რომ ფეხსაცმელები და აღჭურვილობა (ნაჯახი და ჯვალოს ტომარა) თავს ზემოთ გვიჭირავს. კიდევ ერთი მილი მტანჯველი ეკალ-ბარდისა და ხინვის, ტანსაცმელზე რომ გვეკვრის; უანგისფერი ფიჭვის წინწების, ნაირფერი სოკოთი და გამოცვლილი ბუმბულით აჭრელებული. აქა-იქ, უცაბედი გაელვება, გაფართობება და ყურის ნამლები ნივლი გვახსენებს, რომ სამხრეთისკენ ყველა ფრინველი არ გაფრენილა. გზაზე ხშირად გვხვდება ლიმნისფერი მზით განათებული ტბორები და კუპრით შავი ვაზის გვირაბები. კიდევ ერთი მდინარე: წინსკლებიანი კალმასის დამფრთხალი არამდა ჩვენს ირგვლივ წყალს აქაფებს, თეფშის ოდენა გომბეშობი კი მუცელზე ხტომაში ვარჯიშობენ. მუყაითი თახვები კაშხალს აშენებენ. მეორე ნაპირზე ქვინი ტანს იბერტყავს და სიცივისგან კანკალებს. ჩემს მეგობარსაც აკანკალებს, მაგრამ არა სიცივისგან, უფრო აღმაფრენისგან. მის ქუდზე გახუნებულ ვარდის კონას ერთი ფურცელი გაცვენია. ის თავს მაღლა წევს და ფიჭვის მძიმე ჰაერს ისუნთქავს. „თითქმის იქ ვართ; სუნს ხომ გრძნობ, ბაღი?“ მეკითხება ის ისე, თითქოს ოკეანის ნაპირს ვუახლოვებოდეთ.

და მართლაც როგორ ჰგავს ოკეანეს. სურნელოვანი საშობაო ნაძვის ხეები და ჩხვლეტა ფოთლოვანი ბაძგი კოლომეტრებზე გადაჭიმულა. ჩინური ზინზილაკებივით



მბრწყინავი ნითელა კენკრა: მათ ტოტებზე შავი ყვავები ნამოსკუბებულან და საზარლად ჩხავიან.

ვერაფერს იტყვი, მშვენიერი დეკორაციებია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი: ჩემს მეგობარს უნდა, რომ ჩვენი ხე, ხელოვნური თოვლისა და მორთულობის სიმძიმისგან ნელში მოხრილი, „ბაპტისტების ფანჯარასავით“ ბრწყინავდეს; მაგრამ ჩვენ ჩვენი ხუთი დოლარი და ათი ცენტით იაპონურ ბრწყინალა ზიზილა-პიპილოებს ვერ გავწვდებით. ამიტომ, იმას ვაკეთებთ, რასაც ყოველთვის ვაკეთებდით: მთელ დღეებს სამზარეულოს მაგიდასთან ვატარებთ, მაკრატლებთან, ფერად ფანქრებთან და ყვითელი ფურცლების დასტებთან ერთად. მე ესკიზებს ვაკეთებ, ჩემი მეგობარი კი მათი გამოჭრით არის დაკავებული: ძირითადად კაბების, თეგზების (ადვილი დასახატავია და იმობი), ცოტ-ცოტა ვაშლებისა, საზამთროებისა და, რა თქმა უნდა, ფრთიან იანგელოზების „ჰერმლის“ შოკოლადის ფილებისგან მორჩენილი ფოლგისგან რომ ვაკეთებთ. ამ ქმნილებებს ხეზე ქინძისთავებით ვამაგრებთ და ბოლოს ხის ტოტებს ზედ ბამბის ქულებით ვაპნტავთ, რომლებსაც სპეციალურად ამ მიზნით აგვის-ტოში ვაგროვებთ. „გულწრფელად მითხარი, ბაღი, არ გინდა, რომ ერთი კარგად შეახრამუნო?“ მეუბნება ჩემი მეგობარი და მკერდზე ხელეგებადაჯვარედინებული ნაძვის ხეს შემფასებელი თვალთ უყურებს. აი, ქვინი კი ყველანაირად ცდილობს პირი ანგელოზით ჩაიტკაპარუნოს...

შობის წინა საღამოა. ჯიბიდან დარჩენილი გროშები ამოვიფხვიკეთ და საყასბოსკენ გავემურეთ ჩვენი ქვინისთვის ტრადიციული ძღვენის, კარგად სახრავი ძროხის ძელების

საყიდლად. ძვალი კომიქსებში გავახვიეთ და ხის წვერზე ვერცხლისფერი ვარსკვლავის ახლოს შემოვდეთ.ქვინიმ ძალიან კარგად იცის, ძვალი სადაც არის. ხის ძირშია გართხმული და ხარბი თვალებით ზევით იყურება; ქვინის ძილის დრო მოდის, მაგრამ ის ადგილიდან ფეხს არ იცვლის. ორივე ერთნაირად ვართ ალგზნებულები. მეც ლოგინში ვერ ვისვენებ, საბანს ფეხის კვრით ვიხდი და ბალიშს ვაბრუნებ, თითქოს პაპანაქება ზაფხული იყოს. სადაც მამალმა იყოლა, სულ ტყუილად, მზე ჯერ კიდევ დედამიწის მეორე მხარესაა...

ეს ჩვენი ბოლო შობაა, ერთად გატარებული.

ცხოვრებამ ერთმანეთს დაგვაშორა. მათ, ვინც უკეთ იციან, გადაწყვიტეს, რომ ჩემი ადგილი სამხედრო სკოლაშია. და იმ დღიდან ერთიმეორეს ცვლის ბუკის ხმით გაყრუებული ციხეები და საშინელი საზაფხულო ბანაკები. მე ახლა ახალი სახლი მაქვს, მაგრამ ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩემი სახლი იქ არის, სადაც ჩემი მეგობარია, და სადაც მე არასდროს დავბრუნდები.

ის კი იქ დარჩა; სამზარეულოში დაფუსფუსებს; მარტო, ქვინისთან ერთად; შემდეგ სრულიად მარტო, ქვინის გარეშე. („ბაღი, ძვირფასო,“ მწერს იგი მისი უცნაური, ძნელად გასარჩევი ხელით, „გუშინ ჯიმ მეკის ცხენმა ქვინის წიხლი ძალიან ცუდად ჩააზილა. მაღლობა ღმერთს, რომ ბევრი

არ უწვალა. ზენარში გავახვიე და ეტლით სიმფსონების საძოვარზე წავიყვანე, სადაც თავის ძვლებთან ერთად შეუძლია მშვიდად განისვენოს...“). რამდენიმე ნოემბერი ის კვლავ აგრძელებს ხილის ნამცხვრების ცხოვრებას სხვისი დახმარების გარეშე, თუმცა იმდენს აღარ აცხობს, რამდენსაც ადრე აცხობდა; მაგრამ მე, რა თქმა უნდა, ყოველთვის „ყველაზე კარგ პარტიას“ მიგზავნის. ყველა წერილში ათ ცენტრიან მონეტას მივდებს, ტუალეტის ქალაქში გახვეულს. „კინოში წადი და რომ ნახავ, მომიყვი“, იწერება იგი; მაგრამ, ნელ-ნელა, მის წერილებში მე მას მის სხვა მეგობარში ვერევი, იმ ბაღში, 1880 წელს რომ გარდაიცვალა; რაც დრო გადის, მხოლოდ ცამეტი აღარ არის ის რიცხვი, როცა ის ლოგინიდან არ დგება; და ის დილაც თენდება, ნოემბრის დილა, ზამთრის დილა ფოთლების და ჩიტების გარეშე, როცა მას აღარ ძალუქს ადგომა, რომ ნამოიძახოს: „ღმერთო ჩემო, ხილის ნამცხვრის ამინდია!“

და როცა ეს ხდება, მე უკვე ვიცი ამის შესახებ. და ქალაქი, რომელშიც ეს ასე უბრალოდ არის ნათქვამი, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ცნობას, რომელიც მე ჩემი რომელიღაც ძარღვით შევიგრძენი, რომელმაც სხეულის ის ნაწილი ჩამომაჭრა, ვერასდროს რომ ველარ აღვიდგენ და განყვეტილ მათთან ერთად გაფრინდა ჩვენი ფრანივით. ახლა, ამ დეკემბრის დილას, სკოლის კამპუსში მარტოდ მავალი, ზევით, ზეცაში რაღაცას ვეძებ. თითქოს იმ ორ დაკარგულ ფრანს ვეძებ, რომლებიც, როგორც ორი გული, ისე მიქრის ზეციური ქვეყნისკენ.

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილი

ქალაქის გასაღები



ადამიანი ჯერ კიდევ გამოქვაბულის ბინადარი იყო, როდესაც მან თავისი აზრი გრაფიკულად გამოხატა, რამაც ასახვა ჰპოვა პირველი საცხოვრებლის კედლებზე. დროთა განმავლობაში ცხოველების, საგნების თუ მოვლენების გამოხატვის პირველყოფილი ფორმა მეტყველების ცალკეული ნიშნებით შეიცვალა და ბოლოს დამწერლობის სახე მიიღო.

სხვადასხვა ერებმა და ეთნოსებმა უძველეს ნარსულში შექმნეს განსხვავებული დამწერლობითი სისტემები: ჩინელებმა – მორფემული; ეგვიპტელებმა – ჰიეროგლიფური კონსონანტურ-მორფემული (მასთან ერთად იერატიკა და დემოტიკა); შუამდინარეთის ცივილიზაციამ – ლურსმული ლოგოგრაფულ-სილაბური ანუ სიტყვობრივ-მარცვლოვანი; ბრაჰმიანებმა და იაპონელებმა – მარცვლოვანი.

უძველეს კონსონანტურ სისტემად, რასაც ქართული ანბანთწერა ეფუძნება, მიჩნეულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით XV საუკუნეში შექმნილი მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული ფინიკიური ანბანური დამწერლობა. ამ ანბანის აღმშენებელს განვიხილოთ არამეული აღმოსავლური ანბანი, და დასავლური ბერძნული მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული ვოკალიზებული ანბანი, რომელსაც ეყარება დანარჩენი დასავლური დამწერლობები.

ქართულმა ანბანმა ბერძნულის დარად მიმართულება შეცვალა, ფინიკიურ 22 კონსონანტს დაურთო „ვიე“-დან „ქან“-მდე ბერძნული წყება და დაუმატა 11 საკუთრივ ქართული ფერადობის ბგერა. ბერძნებისგან განსხვავებით, რომლებმაც ფინიკიურის გადმოღობისას დაკარგეს ნიშანთა იდეოგრაფიული და კალენდრული მნიშვნელობა, ქართულმა ანბანთწერამ ფინიკიური ანბანის გასწორებაზოგნების ზოგადი მონუმენტური პრინციპის საფუძველზე მისცა ყოველივე ამას საკუთარი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გარკვეულწილად ენათესავება ნინამორბედთა სახეს და ამავე დროს შენარჩუნებული აქვს იდეოგრაფიული და კალენდრული სემური ასპექტები.

ქართული დამწერლობის შემოღების თარიღად მიჩნეულია 284 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მოცემული გარემოება განმტკიცებულია ამ წელს 532-წლიანი ქორონიკონის მე-10 მოქცევის დასრულებით, რის საფუძველზედაც ქართველები დასაბამიდან 5604 წელს ითვლიან. ხოლო ქორონიკონის სისტემა მიღებულია მზის 28-წლიანი და მთვარის 19-წლიანი ციკლების ნამრავლი 28X19=532 და აგრეთვე ცნობილია სახელწოდებით „აღღა“: ა(1)+ლ(30)+ფ(500)+ა(1)=532.

ივანე ჯავახიშვილი მოიხსენიებს ორ ხელნაწერს, სადაც ჩამოთვლილია ქართული დამწერლობის სხვადასხვა სახე: ა) არჩილ მეფე: „დამწერლობა ხუცურსა და მხედრულს უნდა სხვა-

დასხვადა მგრგლოვანს, ყუავისფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ თავადა“.

ბ) ანტონ კათალიკოსი: საქართველოში შეიდგვარი ანბანი იყო გავრცელებული: 1 „საზენაო“, 2 „ასომთავრული“, 3 „მგრგლოვანი“, 4 „საზოგადო“, 5 „ყუავისფრჩხილოვანი“, 6 „ნოტრი“, 7 „თხზული“.

„საზენაო“ – ასოების ყვავილოვან ან ცხოველთა სახეებით მოხაზვასა და გამოყვანას „დანაკვეთა“ ერქვა, რომლებიც თხზულების თავში, პირველი სტრიქონის პირველი სიტყვის დასაწყის ასოდ გამოიხატებოდა. ანალოგიური დანიშნულება ჰქონდა „ასომთავრულ“ ნიშნებს „ნუსხა-ხუცური“ და „მხედრული“ დამწერლობებს შექმნის შემდეგ.

ქართული დამწერლობის საწყის სახეს ახასიათებდა კუთხოვანი მოხაზულობა, რომელიც დროთა განმავლობაში მგრგლოვანი მოხაზულობით დაიხვეწა. მარჯვნივ დახრილ კუთხოვან ნუსხა-ხუცურ დამწერლობის მომრგვალებულ ფორმას „ნუსხა-ხუცური მდივან-მნივნობრული“ დამწერლობა ეწოდა.

მრავალი ღვაწლმოსილი მეცნიერი ემხრობა ქართული დამწერლობის სომხური წარმოშობის თეორიას. და მართლაც ქართულ „ნუსხა-ხუცურ“ და სომხურ ანბანთა მოხაზულობა ძალზე ჰგავან ერთმანეთს. ეს გასაგებიც არის, რადგან სასომხეთში და საქართველოში სულ რაღაც 25-36 წლის განსხვავებით მიიღეს ქრისტიანობა. ამიტომ საესებით შესაძლოა, რომ სომხური ანბანის (405-406 წელი) ავტორს მესრობ მამტოცს მიუძღვოდეს გარკვეული წვლილი ქართული ანბანის დახვეწაში და არა შექმნაში. ყოველივე ამას ხომ პოლიტიკური სარჩულიც უძღვოდა ნინ – გაქრისტიანების დროს მირიან III ვაჟი რევი დაქორწინებული იყო სომხეთის მეფის თრდატის ქალიშვილზე სალომე უჯარმელზე.

მაგრამ აქ კითხვა უფრო სიღრმისეულად უნდა დაისვას: საქართველომ და სასომხეთმა ქრისტიანობა მიიღეს და ერთი საუკუნის შემდეგ შექმნეს საეკლესიო დამწერლობა? თუ პირიქით, უკვე შექმნილია საეკლესიო ატრიბუტიკამ და მათ შორის ანბანის არსებობამაც განაპირობა ამ ქვეყნების გაქრისტიანება?

მაშინ, როდესაც ფარნავაზმა 284 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართული ენა ყოველთა ქართველთა ცალკეულ თემთა გამართიანებლად გამოაცხადა, რა „ასომთავრული“ ერთი კვირის, თვის თუ წლის წინ შეიმუშავეს? იგი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. მე ვფიქრობ სომხურსა და ქართულ „ნუსხა-ხუცურ“ ანბანებს ასევე შექმნის 2-3 საუკუნის სიღრმის ბალავარი გააჩნიათ, რომლის მომწიფებამაც განაპირობა ამ ქვეყნების ქრისტიანობის სრულყოფილად დამკვიდრება.

მივმართოდ ლოგიკას. დავასვით მინაზე ჯოხი. ჯოხზე მიმართულმა მზის სხივმა შვა ჩრდილი – ქურუმი, სწავლული, რომელიც დაინტერესდა ჩრდილის ბოლოსა და ჯოხის წვერის შემაერთებელი უხილავი დაგონალით. ქურუმმა დაიტანა ფურცელზე ჯოხი, ჩრდილი, მათი შემაერთებული დაგონალი და ეს სამკუთხედი სივრცე აშაშაშა – მივიღეთ ტაძარი. ახლა ისმება კითხვა: ტაძარმა შვა ქურუმი თუ პირიქით, ქურუმმა მრავალი დაკვირვების შედეგად დაგროვილ ცოდნას შეუქმნა საკუთარი კერა?

და თუ ეს ლოგიკური მსჯელობა მართებულია, აქედან გამომდინარე, არსებობს ერთადერთი დასკვნა: ისევე, როგორც 284 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე „ასომთავრული“ იქნა აღიარებული ცალკეული ქართველური თემების გამაერთიანებელ დულაბად, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის პირველი მესამედში ჯერ სასომხეთში (301 წელი) და შემდეგ საქართველოში (326-337 წლები) ქრისტიანობის დამკვიდრება იმის დასტურია, რომ გრაფიკულად ერთმანეთის მსგავსი „ერკათაგირის“ და

ქართული „ნუსხა-ხუცურის“ ქმედითუ-ნარიანობა უკვე იყო ძალაში შესული. ხოლო მესრობ მამტოცის როლი ერთი საუკუნის შემდეგ შესაძლოა ყოველივე ამის კიდევ უფრო მეტ დახვეწაში, როგორც არქიტექტურულ პროექტირებაში იტყვიან ნაგებობის გეოდეზიურ ნიშნულზე მიბმამი და ბუნებრივ გარემოსთან შერწყმაში მდგომარეობდა.

ყოველივე ამის დასტურად იქცა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების სიმბოლოდ ნინოს თემებით ჯვარედინად შეკრული ვაზის ორი შტო – ანუ ასონიზნი „ქან“-ის ან უკვე ნუსხა-ხუცური სახეობა, რაც ქართული ქრისტიანობის ჭილაურნარიანობის აღიარებას ნიშნავდა.

„ყვავისფრჩხილოვანი“ დამწერლობა „ნუსხა-ხუცური“ დამწერლობის ისეთი სახეობაა, რომელიც ნანერის ბოლო ქვედა სტრიქონის ასოები ფრინველის კლანჭ-ფრჩხილის მსგავსად მოკაუჭებულია. ამგვარი დამწერლობის საუკეთესო ნიმუშია მიქაელ მოდრეკილის საგალობლების ნიგნი. დამწერლობის ეს სახეობა გიორგი ლეონიძესაც აქვს მოხსენიებული „ნატურის ხეში“: „შავი გურანა თითქმის ძალით შერთეს, რომ გვარი არ ამოვარდნილიყო. უსწავლელი იყო გურანა, ძლივს იცოდა ყვავისფრჩხილოვანი წერა“.

ასოთა მოხაზულობის, მათში წერტილთა, მცენარეთა თუ ცხოველთა გამოხატვის, ნაგრძელების ან დაბოლოვებათა გარკვევების ნიადაგზე წარმოშობა „კიდურყვავილოვანი“, „კიდურწერტილოვანი“ და „ტყუპწვეტიანი“ დამწერლობათა სახეობებია.

„ასომთავრული“ ანბანის „მხედრულად“ გარდაქმნამ განაპირობა ხუთი ასონიზნის ხმარებიდან ამოღება, რამაც ასონიზნთა თანმიმდევრობის მარჯვენაზე შეცვლა, მაგრამ ყოველი მათგანის რიცხვობრივი მნიშვნელობა უცვლელი დარჩა.

„თხზული“ და „დაქსელილი“ დამწერლობაში ვხვდებით ასონიზნთა კალიგრაფიულად შერწყმის ნიმუშებს, სადაც ორი ან მეტი ასონიზნი ურთიერთგადანწეულია ერთიმეორეში, როდესაც შესაბამისად „შენწული“, „შენიღებული“, „აგოდლებული“, „აღზევებული“ და „უხეშებულად“ ეწოდებათ.

ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ვხვდებით აგრეთვე სიტყვა სიმთაშურალს ანუ მალეშურალს, რაც თანამედროვე სტენოგრაფს ნიშნავს.

ქართულ დამწერლობაში ცნობილია რამდენიმე კრიპტოგრაფიული ანუ საიდუმლო სისტემა. წერის სისტემას, როდესაც პირველი და მომდევნო ასონიზნები შენაცვლებით ბოლოდან მოყოლებით იწერება „ან-ჯანური“ (1-8000) და „ან-ჰოური“ (1-10000) ეწოდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეულები ათასეულებს, ხოლო ათეულები ასეულებს ჩვეულებრივი სწორი თანმიმდევრობით ენაცვლება (1-1000, 10-100) ამგვარ სისტემას „ან-ჩინური“ ეწოდება, ხოლო როდესაც ერთი-ასს და მომდევნოებიც სწორი თანმიმდევრობით ენაცვლებიან ერთმანეთს – „ან-რაული“ ეწოდება.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე თავის მოგონებებში იხსენებს: „ოცდაათიან წლებში გეორგი ნუბინაშვილი საჯარო ლექციებს კითხულობდა ქართული ხელოვნების შესახებ. მათი ძირითადი ლაიტმოტივი ეყარებოდა თეზას იმის შესახებ, რომ – არ არსებობს ქართული სტილი, არამედ არსებობს ქართული ხუროთმოძღვრება, რომელმაც განვიხილეთ გზაზე სხვადასხვა სტილისტური საფეხური გაიარა. ქართული ხელოვნება, როგორც დროში განვითარდა ცოცხალი კულტურული ფენომენი, ისტორიული კატეგორიაა, რომ ის უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული დოგმატი კი არ არის, არამედ ცხოვრების ევოლუციასთან ერთად სტილისტურ ტრანსფორმაციას განიცდის და იხვეწება“.

ზუსტად ასევე შეიძლება ითქვას ქართული დამწერლობის შესახებაც.

ქართულმა კულტურამ თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ანბანის ფორმირების სამი სტადია გაიარა, რის საფუძველზედაც შეიქმნა ჯერ „ასომთავრული“ ანბანი, რომელსაც დასრულებული სახე ჰქონდა მიღებული მეფე ფარნავაზის ზეობის დროს. ქრისტიანობის გავრცელებამ განაპირობა „ასომთავრული“ ანბანის გაეკლესიურება და მისი „ნუსხა-ხუცური“ სახის შექმნა. მომდევნო საუკუნეებში ქართული ყოფის დასავლურმა და აღმოსავლურმა ერთობლივმა კულტურულმა ხვნა-თესვამ განაპირობა ახალი ადგილობრივი „მხედრული“ ანბანის ჩამოყალიბება. ხოლო ზემოთ არჩილ მეფესთან და ანტონ კათალიკოსთან ანბანად მოხსენიებული სხვა სახეობები არის „ასომთავრული“ და „ნუსხა-ხუცური“ ანბანების შემავსები ფორმები, რომლებიც ამდიდრებენ და პენს მატებენ არსებულ სამ ძირითად სახეს.

ყოველივე ეს აისახა ბეჭდვით გამოცემებში: ქართულ კულტურაში აღნიშნულია ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი: 1978 წელს ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ნაწარმოების „შუმანიკის ნამების“ შექმნიდან 1500 წელი, ხოლო 1979 წელს პირველი ქართული ნაბეჭდი ნიგნის გამოცემიდან 350 წელი.

თბილისის, როგორც დედაქალაქის ისტორია V საუკუნიდან იწყება, როდესაც მას ეს ფუნქცია ვახტანგ გორგასალმა მიანიჭა. ამ ქალაქმშენებელური ისტორიული აქტით დიდმა ქართველმა მეფემ სახელმწიფოს ცენტრი ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაიტანა. დედაქალაქის ზრდამ განაპირობა სხვადასხვა მიმართულებით გამავალი მაგისტრალები და მათი თანხმლები კარიბჭეთა სისტემა, რასაც მომდევნო სტრიქონები ეთმობა.

საქართველოს დედაქალაქის კარიბჭეთა აღწერას ვხვდებით ჯუან-შერთან, არაბ ისტორიკოსებთან იბნ ჰუკალითან და ალ-ტაბარისთან. მათი პირვანდელი სახე, რა თქმა უნდა, ჩვენამდე არ მოსულა, მაგრამ XVII-XIX საუკუნის მხატვართა, მეცნიერთა და მოგზაურთა ჩანახატები ერთგვარად გვიცხებენ ცნობებს მათ შესახებ. XI საუკუნის ქართლის მატთან დაკავშირებით, რომ ყოველი ქალაქის კარი იყო ალჭურვილი კლიტეთი და მცველი სამსახურით. იგი საღამო ხანს იკეტებოდა და შემოსვლის მსურველს და ქარავნებს ღამე გარეთ, გაღავის მიღმა უნდა გაეთენებინათ.

ისტორიული ცნობების თანახმად საქართველოს დედაქალაქში მომავალი ძირითადი მაგისტრალების მიჯნა კალას შემოვლებულ გაღავანთან ალჭურვილი იყო კარიბჭეთა სისტემით. დავასახელებ მათ შორის უდავოდ დადასტურებულებს:

ვახუშტის ცნობით, დასავლეთი მიმართულებით ქალაქს ჰქონია ორი კარი: კოჯრის კარი მდებარეობდა ამჟამინდელი კოტე აფხაზის (ლესელიძე) ქუჩისა და თავისუფლების მოედნის მიჯნაზე. დიღმის კარი – ახლანდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების შეერთების ადგილას. ჩრდილოეთის მიმართულებით თბილისის აგრეთვე ორი კარი ჰქონია, რომლებიც ბარათაშვილის ქუჩის ხაზზე იყო განლაგებული და ხიდებით სრულდებოდა: მეიდნისა და ქვემო.


როსტომ მეფის მიერ „დაბალი“ ციხის გამოყოფის შემდეგ შეიქმნა კარი, რომელიც ამ უკანასკნელს კალას უბანთან აკავშირებდა – ეგრეთწოდებული შიდა საქალაქო კარი. მოცემული დაბალი ციხიდან სამხრეთი მიმართულებით სეიდბადისაკენ იხსნებოდა ორი კარი: აბანოს და განჯის.

მტკვრის მეორე მხარეს იყო განლაგებული ავლაბრის კარი და ჰამბარა კარი, სადაც უმთავრესად სომხური წარმოშობის მოსახლეობა იყო დასახლებული. თავიდან ისინი ნარიყალას ციხის მისადგომებთან, მინერალური წყლების წყაროებთან დასახლდნენ და უმთავრესად ქეჩის

წარმოებით იყვნენ დაკავებული. მათი დიდი რაოდენობა თბილისის ანისის 1239 წლის განადგურების შემდეგ მოაწყდა. მომდევნო საუკუნეებში სომხებმა საცხოვრებელი ბინა ავლაბარსა და სოლოლაკში დაიდეს.

თბილისში მცხოვრებმა სომხურმა მოსახლეობამ შეადგინეს მოქალაქეთა ერთობა, რომელიც ვახტანგ გორგასალის დროიდან იღებს სათავეს. მეფემ მრეწველი და მენარმე სომხები ახალი დედაქალაქის აღსაშენებლად ჩამოასახლა. ამგვარი მოწვევა თამარ მეფის დროსაც განმეორდა. სომხური მოსახლეობა იყოფოდა პირველხარისხიან და მეორეხარისხიან მოქალაქეებად. ამგვარი წოდებრივი მდგომარეობის გარანტი, როგორც წესი, იყო გვაროვნება, უძრავი ქონებისა და კაპიტალის რაოდენობა და აგრეთვე მეფის კარზე მსახურება. საპატიო ნაწილი ექიმი და მალიკ-მამასახლისები იყვნენ. მათ ხელთ ეყრათ თბილისის ხუთივე (ისტორიულად 7 კარი არსებობდა) კარის გასაღები, ეს თანამდებობა აგრეთვე ხაზინის გამგებლობასაც ითავსებდა.

მსოფლიოს ხუროთმოძღვრების ისტორიის თუნდაც არაპროფესიონალის თვალის შევლემისასაც დაინახავთ, რომ დიდი მმართველები რამე სახელმწიფოებრივი ან სამხედრო გამარჯვებების აღსანიშნავად ქალაქის მოედნებზე თუ ცენტრალურ მაგისტრალებზე ტრიუმფალურ თაღებს დგამდნენ.



დემეტრე მეფემ განჯის ლაშქრობიდან ალაფის სახით კარიბჭე ჩამოიტანა, რომელიც ამჟამად გელათის კომპლექსის ცენტრალურ შესასვლელს ამშვენებს.

ზემოთ იყო საუბარი ქართული წელთაღრიცხვის შესახებ – 5604 წელი. ზიზანტიელები დასაბამიდან 5508 წელს ითვლიან. საქართველოს პირველი დედაქალაქის სახელწოდების შემატრიული მნიშვნელობა ამგვარია მ(40)+ც(2000)+ხ(6000) +ე(5)+თ(9)+ა(1)=8055. იგივე მაჩვენებელს გვაძლევს სახელწოდება განჯა – გ(3)+ა(1)+ნ(50)+ჯ(8000)+ა(1)=8055.

სტატიაში წარმოდგენილ პირველ მხატვრულ ნამუშევარზე ასახულია სიმბოლურად განმტკიცებული ფინიკის პალმა, რომლის ნიაღშიც აღმოცენდა სხვადასხვა დამწერლობათა სისტემები, ხოლო მეორეს მე დავარქვი „განბანი-ლი“. ამით მე შევეცადე შექმნა ქართული დამწერლობისათვის და ხუროთმოძღვრების ისეთი გამოვლინებისათვის, როგორცაა ქალაქის კარიბჭე ერთობლივი შერწყმული თანამედროვე სახე.

არქიტექტორი მერაბ აბუსაძე

►► დასასრული. დასაწყისი "ლს.№17

თამარ ბარბაქაძე

დავიმონებთ განმარტებას გერმანული ვიკიპედიიდან (მასალა მოგვანოდა ლევან ბრეგაძემ): „ლექსმცოდნეობაში თავისუფალი ლექსი ეწოდება სალექსო ფორმას, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ მეტრულ და ჟღერადობრივ კავშირებზე... თავისუფალი ლექსის ორი მთავარი ფესვიდან ერთი არის თავისუფალი რიტმები, რომელიც მე-18 ს-ის შუა ხანებიდან კლოპშტოკმა განავითარა. ეს ლექსი ანტიკური ოდების საზომებს ეყრდნობოდა... (გოეთეს აღრუული ლირიკა, მე-19 ს. პოლდერლინის ოდები, პაინრის პაინე, დეტლევ ფონ ლილიენკორნი, არნო ჰოლცი); თანამედროვე თავისუფალი ლექსის მეორე ფესვს წარმოადგენს ამერიკელი უოტ უიტმენის პოეზია; უნინარეს ყოვლისა, მისი ურითმო, რიტმული ლექსით დაწერილი მთავარი წიგნი: „ბალახის ფოთლები“ (https://de.wikipedia.org//uciki/Freier vers). თავისუფალი რიტმები არ მიაჯაჭვავდა პოეტს მეტრულ ჩარჩოს, ამიტომაც კლოპშტოკის მიერ შექმნილი თავისუფალი რიტმის ლექსი მალე აიტაცეს ახალგაზრდა გოეთემ და „შტურმ უნდ დრანგის“, ე.წ. „გენიოსთა ხანის“, პოეტებმა“.

ქართული პერლიზის სთავაზობა

გარდ ვილდრაკისა და ჟორჟ დიუამელის ნაშრომის: „თავისუფალი ლექსის თეორია. შენიშვნები პოეტური ტექსტის შესახებ“ ბალახო ივანიძის (ივანე ამირხანაშვილის) მიერ ქართულად თარგმნის გამო

თავისუფალი რიტმები (თავისუფალი ლექსი) რიტმული პროზიდან კი არ წარმოიშვა, არამედ ამ ფორმის ისტორიის გათვალისწინებით, იგი მყარი სალექსო ფორმების – ოდების, ჰექსამეტრების, მადრიგალების ან კნიტელეგისის (გერმანული გართული ლექსის) – აფეთქების შედეგია. უნინარეს ყოვლისა, სწორედ მყარ მეტრულ ფორმებთან ასეთი შეხმინება უნარჩუნებს თავისუფალი რიტმებით შესრულებულ ადრეულ ტექსტებს ლექსის სახეს.

მიხეილ გასპაროვის აზრით, აღორძინების ეპოქამ პოეზიაში შემოიტანა ახალი, ძირითადად, ასტროფული ფორმები – თავისუფალი, ან შერეული ლექსი (vers libres, vers mêlés) – სხვადასხვა გრძლიობის სტრიქონების მოუნესრიგებელი შეხამება. აღორძინების ხანაში მუსიკის განვითარებამ შეცვალა მოთხოვნები ლექსის ტექსტისადმი: შესაძლებელი გახდა ინტონაციის შეცვლა; ამიტომაც თავიდან (XVI ს-ის ბოლო მეოთხედში) თავისუფალი ლექსი დამკვიდრდა მუსიკასთან დაკავშირებულ ჟანრებში (მადრიგალი, იდილია, დითირამები, ბაიფი, კიბორჩხის, მუსიკალური დრამა (რინოქონი). მიხეილ გასპაროვი აღნიშნავს, რომ ლაფონტენამდე ევროპულ პოეზიაში იგავი და ნოველა მხოლოდ თანაბარმარცვლიანი ლექსით იწერებოდა: „ფრანგული გავლენით, XVIII ს. თავისუფალი ლექსი ამ ჟანრებში გავრცელდა მთელი ევროპის მასშტაბით (გერმანულ და სლავურ სილაბო-ტონიკაში მისი ანალოგია თავისუფალი, ანუ სხვადასხვატერფიანი იამბი) და მიადნია კრილოვამდე და გრიბოედოვამდე“ (Гаспаров, 2003, стр. 134). თანამედროვე ვერლიბრის ჩამოყალიბებაში, მეცნიერთა აზრით, უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რენესანსის კიდევ ერთ სიახლეს ლექსობის სფეროში: რითმის უარყოფის მცდელობას და ურითმო ლექსის რესტავრაციას.

თავისუფალი ლექსის თეორიისა და ტექნიკის თაობაზე საუბრისას ფრანგი ავტორები მართებულად აღნიშნავენ: „არ შეიძლება ფორმას იგივე მნიშვნელობა მივანიჭოთ, რაც შინაარსს, როდესაც ქვეყანაზე არსებობს ამდენი უპასუხისმგებლო პოეტი, რომლებსაც ჩირად არ უღირთ თავიანთი ხელოვნება“ (ვილდრაკი, დიუამელი, 2020, გვ. 11). სამწუხაროდ, 21-ე საუკუნე-

ნის პირველი ოცნლეულის დასრულებაც კი ვერაფერს შევლის ჩვენს სინამდვილეში ამ უპასუხისმგებლობას: ვერლიბრი, ანუ თავისუფალი ლექსი, არცთუ იშვიათად პოეზიის მიღმა რჩება და მხოლოდ მისი ავტორების „დღიური პროზის“ „წვრილი ამბების“ აღწერით შემოიფარგლება. ბესიკ ხარანაული, ქართული ვერლიბრის ერთ-ერთი პირველი რეფორმატორი XX ს-ის 60-იან წლებში, შეგვახსენებს: „სიახლე ისე უნდა გვხვდეს ყელში, რომ არათუ დაგავინცოს პრინციპები, ეჭვიც შეგეპაროს მათს სიმართლესა და მარადიულობაში. აქ პრინციპები რა მოსატანია! პოეზია მშვენიერია ყველა ფორმაში, სადაც იგი არის. სადაც იგი არ არის, ფორმა გინდ ყოფილა, გინდ არა!.. ნუ ვეცდებით პოეზიის ახსნას! ის სამ უპასუხო კითხვათაგან ერთ-ერთია, ისევე უპასუხოა, როგორც: „რა არის სიცოცხლე“ და „რა არის სიკვდილი“ (2005, გვ. 252).

ცნობილია, რომ XX საუკუნე სხვადასხვაგვარი პრობოტიზმისაგან გათავისუფლების ეპოქა იყო, ამიტომაც მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ პოპულარულ ფორმად „ვერლიბრი“ მოგვევლინა (ეს ტერმინი ლექსის თეორიაში დაამკვიდრა ინგლისელმა პოეტმა და პროზაიკოსმა რიჩარდ ოლდინგტონმა): პოეტებმა უგულბებლყვეს წინამორბედი საუკუნეების მიერ შემუშავებული

ქმენით და გულამოვარდნილი — რითმა, აზრები, ფორმა, იდეა რაც მთავარია, სტილი — ნუთუ ჩემს სულში ცეცხლი კიდეა?... უკვე საცაა გათენდება და მე განთიადს ასე ურითმო და ურიგო „ბოდივით“ ვხვდები... (ჩანტლაძე, 1998, გვ. 50)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ქართული თავისუფალი ლექსის სათავეებთან შოთა ჩანტლაძეც დგას თავისი ახალი პოეზიითა და ახალი ლექსის ფორმით: გალაკტიონ ტაბიძის, „ცისფერყანწილების“ თუ 10-20-იანი წლების სხვა ქართველი პოეტების (გრიგოლ ცეცხლაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვ.) ვერლიბრები ნამდვილად არ იყო 40-50-იანი წლების ქართულ სინამდვილეში ცნობილი, ან გავლენის ძალის მქონე. შოთა ჩანტლაძის „მანიფესტი“ კი (1952) ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ქართული ვერლიბრის დაბადების მათხვევლად. შემთხვევითი არ არის, ალბათ, რომ 1949 წელს დაწერილ ლექსში „მე“ შოთა ჩანტლაძეს ციტატა მოჰყავს პაოლო იაშვილის ლექსიდან და აღიარებს მისი ლექსის დიდ ძალას (ჩანტლაძე, 1998, გვ. 82):

რომ არ თქმულიყო გულის ტეხილი, რაიც კი ითქვა უკვე ჩემამდე, ყველას ვიტყვოდი, თუნდაც ახლავე და სიხარულსაც დაიმშვენებდნენ... გარდა ერთისა, გარდა ამისა: „დადის ქუჩაში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული“. (ჩანტლაძე, 1998, გვ. 82)

ბოჰემის შესხენება და პაოლო იაშვილის ციტირება შოთა ჩანტლაძის ადრეულ ლექსებში, განსაკუთრებით 1949 წლიდან იჩენს თავს. 1949 წელს არის დაწერილი კენტმარცვლიანი, ქართული მეტრიკისათვის იშვიათი, თხუთმეტმარცვლიანი (5/5/5) საზომითა და ექვსტაქედით შედგენილი ლექსი, რომელშიც პოეტი ურითმო ლექსის თაობაზეც გვესაუბრება:

ჩვენი გულებით, სხვისი გულებით, შენი გულითა გალღვება შუღლი, გალღვება სული, გალღვება გული თუ გაიჩარხა, ექნება გული ეგრე ბალღური. სიტყვით ქვეითთ, სიტყვით ნართითთ, გიტყვი ზეთას: გალღვება შუღლი, გალღვება სული, გალღვება გული. („გულებით-გულითა“. ჩანტლაძე, 1998, გვ. 49)

იდენტური, შიდარითმით გამართული (II-VI ტაქტები), ასევე სიტყვათა გამეორების საფუძველზე შექმნილი რიტმი (I-IV ტაქტები) მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს „ურითმო ლექსსა“ და „სიტყვით ნართითთ“ („სიტყვით ქვეითთ“) განსხვავებას, ეჭვისთვისაც რჩება ადგილი: „თუ გაიჩარხა...“ „მათი პოეზია კატასტროფაა“, – აი, განაჩენი პროლეტარიატის, კომუნისტური იდეოლოგიით ნასაზრდოები „ზედსართავი ლექსების“, „ცხვირისა და ხორხის პოეზიის“ მიმართ და ჭეშმარიტების აღიარება: „პოეზიის სინათლე უნდა უნათებდეს ყველას დედამიწაზე... ყელამდე აღწევდეს“ (ჩანტლაძე, 1998, გვ. 127). 40-50-იან წლებში შექმნილი ვერლიბრები შოთა ჩანტლაძეს ქართული ვერლიბრის გზის გამკვალავის საპატიო სახელს უმკვიდრებს. შოთა ჩანტლაძემ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო, რომ რითმისა და აზრის დაპირისპირების ფონზე ახალი ლექსი უნდა შექმნილიყო, რომელიც პოეზიის ჩაუქრობელ ცეცხლს შეინახავდა. XX ს-ის 60-70-იანი წლების საქართვე-

ლოში ვერლიბრმა მთელი თაობა გააერთიანა თვითგამოხატვის, პიროვნული ამბოხის ფონზე. ბესიკ ხარანაულის „ხეიბარი თოჯინა“ და ლია სტურუას ვერლიბრები მძაფრი პოლემიკის საბაზი გახდა და ასეც იყო მოსალოდნელი: სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან ადაპტირებულ, შეგუებულ სალიტერატურო კრიტიკას შეეშინდა, რომ ახალგაზრდა პოეტების ნოვაციას არ მოჰყოლოდა კარგად მივიწყებული „ძველი“ (10-20-იანი წლების სიმბოლისტური) ვერლიბრისა და ე.წ. „დაპატიმრებული“, „უჯრის“ ლექსების (შოთა ჩანტლაძის) გაცოცხლება-რეანიმაცია.

1971 წელს დაიბეჭდა ჯარჯი ფხოველის „გვრინი“, რომელიც ერთგვარი მანიფესტია ხალხური რითმითა და რიტმით ამღერებული ლექსების ნაცვლად ახლებური ხმის დამკვიდრებისა.

„არ იმღერება ეს სიმღერები, / ჩემი სტრიქონი / არ იფარფატებს როიალის ნათელ მინდვრებზე...“; „არ იმღერება ეს სიმღერა. / ამ წარმავალი ჟამის ამარა იფარფატებს / და განილევს / ეს ხმამაღალი დაფიქრება / ქართა ჩურჩული / და მოძახილი მთიბავისა“. – „გვრინის“ სალექსო ტაქტები, სტრიქონები, მართლაც, ახალი, უჩვეულო საფიქრალით ავსებდა მკითხველს, რომელსაც ავტორი აფრთხილებდა: „მუნჯია ეს ხმა. მოგუდული და უმოტივო / თავგანჯიხილი მეციხოვნის საფია იგი, / ყელგამოღადრულ მოზერის ხრიალი“.

მთის ნიალიდან წამოსული ხევსურული „სიმღერების“, რითმიანი თუ ურითმო მთიბლურებისა თუ კაფიების რიტმებს შეჩვეული ქართული მთის შვილების, ახალგაზრდა პოეტების (ბესიკ ხარანაული, მამუკა ნიკლაური, ჯარჯი ფხოველი და სხვ.) მიერ ვერლიბრის არჩევა სალექსო ფორმად განსაკუთრებით აღიზიანებდა შოთა ნიშნინიძეს, რომელსაც ამინებდა რითმასთან ერთად „პოეზიის ცეცხლის“ ჩაქრობის პერსპექტივაც.

შოთა ნიშნინიძე, გამორჩეული ხმისა და სათქმელის მქონე პოეტი, თვითონაც წერდა ვერლიბრს, თუმცა 70-იანი წლების ბოლოს ლამის ხმალამოღებული იცავდა კონვენციურ, ტრადიციულ ქართულ ლექსსა და რითმას; მან მკაცრად, საყვედურითაც კი მიმართა ვერლიბრის დამკვიდრებს, ქართული მთის მკვიდრ ცნობილ პოეტებს:

ყრმა ხევსურებმა ხარივით დაკლეს ბებერი, მაგრამ გამზრდელი ლექსი. (ნიშნინიძე, 1989, გვ. 184)

პოსტსაბჭოთა, პოსტმოდერნისტულმა ქართულმა სინამდვილემ ახალი, ნოვატორული ძიებანი შემოგვთავაზა ეროვნული ველობის განვითარების გზაზე: ევროპული თუ ამერიკული ვერლიბრის ახალი თარგმნები, ორიგინალური, ახალი ძიებანი თანამედროვე ქართველი ვერლიბრისტებისა (ბესიკ ხარანაული, ზვიად რატიანი, დათა ხარაიშვილი და მრავალი სხვა) უთუოდ ითხოვს ახლებურ შეფასებას და კლასიფიკაციას.

ვერლიბრის ქართველი მკვლევრები: გურამ ასათიანი, თეიმურაზ დოიაშვილი, ლერი ალიმონაკი, ლევან ბრეგაძე, ემზარ კვიციანიშვილი, ნინო დარბაისელი, ლაშა იმედაშვილი, ბელა ნიფურია და სხვ. არცთუ იშვიათად განიხილავენ და აფასებენ ეროვნული ლექსის განვითარების გზაზე ვერლიბრის ადგილსა და თავისებურებებს, თუმცა მაინც არა გვაქვს დღემდე სრული ისტორია ქართული ვერლიბრისა, არც მისი თეორია და ტექნიკა არის შესწავლილი სრულყოფილად, „ქართული ვერლიბრის ანთოლოგია“ ელოდება შემდგენელ-გამომცემლებს... ამიტომაც, თუ „პირველსავე სიტყვასა მოვალთ“, ახალი თარგმანი თავისუფალი ლექსის თეორიისა და ტექნიკის თაობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს და ქართული ვერლიბრის ისტორიისა და თეორიის პრობლემების კვლევის პროცესის გამოცოცხლებას გვპირდება.

ვნერ, ვნერ, ვნერ. ვნერ გულმოსული, ო! უნდო სულო! ო! უნდო სულო!.. სანამდე, სანამდე, – ვიძახი

პირველი გვერდი

„ერთი კაცის ამბავი“, „ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარდა, ამბავი კაცისა, რომელსაც სიცოცხლე უყვარდა“ და ბოლოს, „ამბავი კაცისა, რომელიც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო“

ამის პარალელურად მისი კინოსცენარების მიხედვით იქმნებოდა მხატვრული ფილმები: „სულელი ბრონეულის ხე“, „ერთანმინდა“, „ნოე“, „ეი, მატროსო!“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ქართლოსიანთა საკურთხეველი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „ძნელი დასაწყისი“, „გზა შინსაკენ“, „არასერიოზული კაცი“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ბათა ქექია“, „ამაღლება“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „საერთო კედელი“, „ფიროსმანი“, „უსახელო უფლისციხელი“, „აპრილი“ და სხვა.

ხოლო მანამდე იყო არაკების კრებულები (ასე უწოდა მას ავსტრიელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პეტერ ჰანდკემ) „ვანო და ნიკო“, როგორც ავტორის დაბადების უტყუარი ნიშანსევე და „კოლო ქალაქში“, ლოგიკური დასასრული იმ ალტერნატიული სინამდვილისა, რომელშიც სამყარო ისეთივე უცნაური ჩანს, როგორც ის ამ გზის დასაწყისში იყო...

მის ნაწარმოებებში თხრობა ისეთი მსუბუქი და ბუნებრივია, როგორც ჯანმრთელი ადამიანის სუნთქვა. სიტყვები, თვით დაღლილი სიტყვებიც აქ ისეთი შუქით ბრწყინავენ, რომ სრულიად ახალთახალი გეგონება ზედმეტია მის თქმა, რომ ავტორი სიტყვებს არ ებრძვის. წერს უბრალო და მარტივი ენით („მარტივი ტექსტის ღირსება“), ერიდება სინონიმების სიმრავლეს, მხატვრულ ხერხებს... ამით ავტორი კედლის იმ მშენებელს გვაგონებს, რომელიც ქვას (სიტყვას) არ არჩევს. მისთვის ნებისმიერი ფორმისა და ზომის ქვა (სიტყვა) შეუცვლელია, რადგან მას აქვს იშვიათი უნარი (ნიჭი), რომ ქვის (სიტყვის) „სიმრუდე“ კედლის (აზრის) სისწორისთვის გამოიყენოს.

აზრს კი მის შემოქმედებაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ავტორის ორიგინალური აზროვნებაც სწორედ წინადადების სტრუქტურაში იჩენს თავს. ამ მხრივ ის აზრის ოსტატია და მისი გასაოცარი მხატვრულობაც სწორედ აზრებში აღწევს თავის ლიტერატურულ სიმბოლეს. „აზრები ძაფზე ასხმულ მარგალიტებს ჰგავს. თუ ძაფი განწყობა, აზრები იფანტება და იკარგება. დასცქერი ქვაფენილს და გეზარება მათი აკრეფა. ამ ღამეში ყველას მანინც ვერ იპოვი და სადაც ერთი დაიკარგა, დაე ყველა იქ იყოს. იქნებ ასეც ვიპოვებ – ხვალ დილით სკოლისკენ მიმავალი გოგობიჭები წინილებივით სათითაოდ აკენკავენ მათ და გაიხარებენ“.

წელს ქართველმა მკითხველმა და ქართული კინოს მაყურებელმა (ზოგჯერ ისინი ერთი და იგივე ადამიანები არიან) მწერლისა და კინოსცენარისტის ერთ-ერთი ახველიანი საიუბილეო თარიღი აღნიშნეს. ამასთან დაკავშირებით დედაქალაქში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. ის ჯერ კიდევ ოქტომბრის 18 რიცხვში დაიწყო, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ერთ-ერთი ახველიანის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საინსტიტუტო სემინარის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც ერთ-ერთ ახველიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა (მოხსენების ტექსტი „ავტორის დაბადება“ ჟურნალ „კრიტიკაში“ დაიბეჭდება).

ჟურნალ „არლოში“ გამოქვეყნდა ბესო სოლომონაშვილის სტატია ერთ-ერთ ახველიანზე. მწერალთა სახლმა „ვანოს და ნიკოს“ თემზე უფროსკლასელთათვის ლიტერატურული კონკურსი ჩაატარა. გამარჯვებულები დაავჯიდოვენ და ღონისძიების მონაწილეებმა მოისმინეს ლექცია მწერლის შემოქმედებაზე.

ერთ-ერთ ახველიანის დაბადების დღეს (23 ნოემბერი) თეატრ „პარაკში“ გაიმართა საიუბილეო საღამო, სადაც მისმა მეგობრებმა (მანანა კვიციანი, ქეთი პატარაია, ილია ჯიბლაშვილი) მაყურებელს მწერლისა და კინოსცენარისტის განვლილი გზის ვრცელი ვიდეოკოლაჟი წარმოუდგინეს. საღამოს ესწრებოდნენ ბატონი ერლომის ოჯახის წევრები და მისი უახლოესი მეგობრები.

აი, უკვე ათ წელზე მეტი გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან და ჩვენ – ბატონი ერლომის მონაწილეებმა და მეგობრებმა – მის გარეშე მეორედ აღვნიშნეთ ჩვენი პედაგოგის და კოლეგის საიუბილეო თარიღი. ამჯერადაც კიდევ ერთხელ შევიჩერდით ჩვენი ურთიერთობის იმ პირობით მიჯნასთან, საიდანაც



ადამიანებს, ქუჩებს და სახლებს ჯერ კიდევ ცხოვრებად ახსოვთ მისი სილუეტი, ქცევა, ხმა, საუბრის მანერა... შევეცადეთ მისვე „საზომით“ და „მასთან ერთად“ შევეფასებინა განვლილი გზა და გასავლელიც დაგვეგეგმა.

საღამოზე აღინიშნა, რომ განვლილ პერიოდში უცხოეთიდან მკითხველთა შორის მისი შემოქმედებისადმი ინტერესი არ განელეულა. მისი ნაწარმოებების თარგმნისა და სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემის მის სიცოცხლეში დაპოვებული ტრადიცია წარმატებით გაგრძელდა. ფრანგულად დაიბეჭდა რომანი „კოლო ქალაქში“, იაპონურად „ვანო და ნიკო“. სულ ახლახანს დასრულდა ამ არაკების ბერძნული თარგმანი და ისიც წინადად გამოცემას ელოდება.

2014 წელს ერთ-ერთ ახველიანის პიესების და კინოსცენარების მცირე კრებულები „არასერიოზული კაცი“ (გამომცემლობა „სიესტა“) დაიბეჭდა. ამასთან დაკავშირებით ფოტოგრაფი, რომ ჩვენში არალიტერატურული (კინოლიტერატურა, სცენარი) ტექსტების გამოცემის ნაკლები გამოცდილება არსებობს. მომავალში ამას საგანგებო მომზადება და მკითხველის სათანადო შემზადება დასჭირდება. თუ მწერლისა და კინოსცენარისტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამ კუთხით გაცნობა გაგრძელდება, აუცილებელი იქნება ამ უნარის ტექსტებისთვის შესაბამისი განმარტების დართვა, რათა მკითხველი მომზადებული შეხედეს ამგვარ ექსპერიმენტს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთ ახველიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე არაერთი სამეცნიერო სტატია მომზადდა და გამოქვეყნდა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მისი მხატვრული ტექსტების უმრავლესობა ჯერ კიდევ შეუფასებელია და ისინი სამეცნიერო ლაბორატორიების საკვლევ მასალად რჩება. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ჯერ კიდევ არ დანერგულა მწერლის არქივის დამუშავება, რომელიც წინასწარი მოკვლევის მიხედვით ბევრ საინტერესო ნიმუშს ინახავს. ეჭვგარეშეა, რომ მათი გამოქვეყნება მწერლის შემოქმედებით მემკვიდრეობას უფრო გაამდიდრებს.

მწერლის შემოქმედების გაცნობისა და მისი პოპულარიზაციის დინამიკის შესაფასებლად საინტერესო სურათს იძლევა სოციალურ ქსელებზე დაკვირვება. ამ სივრცეში დღესდღეობით ყველაზე აქტიურად მისი პუბლიცისტური წერილები ზიარდება. მათ შორის არის – „ვეებზე სამშობლოს“, „რა ან-

გრევე იმპერიას“, „მამულისათვის“, „ხალხი, რომელსაც სამშობლო არ უყვარს“ და ის იგავები, რომლებიც ასევე სამშობლოს თემას და მის მომავალს ეხება.

ეს ინტერესი სრულიად ბუნებრივია, რადგან კოლონიალური მდგომარეობიდან ახლად გამოსულ ქვეყანას თუ რაიმეს ხელახლა სწავლა და განცდა სჭირდება, ეს სწორედ სამშობლოს სიყვარულია, რადგან ეს ქვეყანა ჩვენს დროში ხელახლა დაიბადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ახალ სიცოცხლეს კი ახალი ქება დასჭირდება.

სხვა მხრივ კი ახალგაზრდა მკითხველი წინა თაობაზე უფრო მოუზმადებელი და მოუცლელიც აღმოჩნდა მწერლის შემოქმედების გასაცნობად. ლიტერატურული მოდა მის



მხატვრულ ტექსტებს ამჯერადაც შორიდან უვლის, ცნობისმოყვარე თავყანისმცემელს კი აქცენტი მის ცხოვრებისეულ პორტრეტზე (მის ბიოგრაფიაზე) გადააქვს და შემოქმედებით შიშხილს ამით იკმაყოფილებს...

მწერლის ბიოგრაფია ჯერ არ დანერგულა. თუმცა მისი სიტუაციური მონახაზი უკვე არსებობს. შესაძლოა, მის ფრაგმენტებს რომელიმე ჟურნალის სტატიაში წააწყდეთ, ან ტელეეთერში მოისმინოთ. მთავარი კი ის არის, რომ ასე სტიქიურად შექმნილი მწერლის ბიოგრაფია უკვე პირველ „რედაქტირებას“ მოითხოვს, რადგან ის უმეტესად ახლობელ და ნაცნობ-მეგობართა მოგონებებზე დაყრდნობით იქმნება. მოგონება კი წმირად სუბიექტურია არის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ მოგონების ავტორი საკუთარ გრძობებზე უფრო მეტს ჰყვება, ვიდრე მასზე, ვისი ცხოვრებაც საზოგადოებას აინტერესებს...

ამავე დროს, ჩვენში ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიის შექმნის საინტერესო ტრადიცია არსებობს. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე ჩვენი მოღვაწეების პორტრეტებმა კედლებზე ხატების ადგილი დაიკავეს. შემდეგ (ჩვენს თაობას) ეს სიმალე მეტისმეტად „გვემალდა“ და მათმა ფოტოებმაც მაგიდაზე გადმოინაცვლა. დღეს კი ადამიანური ნაკლის ძიებაში უხეიდან, ლამის მიკროსკოპის ქვეშ დაეყურებთ მათ პროფილს.

სტრატეგიული თვალსაზრისით კი ჩვენში ბიოგრაფიების შექმნის სამი მიმართულება გამოიკვეთილი. უკეთესია, თუ მწერალი ქვეყნის, ქალაქის ან უბნის კოლორიტად ჩაენერება ლიტერატურის ისტორიაში, ან ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალედ შემორჩება ჩვენს მეხსიერებას, ან უფრო მეტად უცხო და მიმზიდველი იქნება თავისი ეგზოტიკური ბუნებით, საუბრის მანერით და ლექსიკით. ის, რაც მას სხვებისგან გამოარჩევს და ორიგინალობას შესძენს.

უცნაურობას, მკითხველი რომ დაეძებს მწერლის ცხოვრებაში, ჩვენც მრავლად აღმოვაჩენთ ერთ-ერთ ბიოგრაფიაში. ეს იმ შემთხვევაში, თუ მის განვლილ გზას სხვა (განსხვავებულობის) კუთხიდან შევხედავთ. არ დაუფერებთ ავტორს და მის გაფრთხილებასაც არაფრად ჩავაგდებთ: „ნუ დაისახავ მიზანდ, იყო ორიგინალური, რადგან ამ სურვილზე არაორიგინალური არაფერია. შენ არ უნდა ეცადო, რომ იყო განსხვავებული და ამით შენი განსხვავება უფრო გამოიჩინდება. გამოხატვის ფორმის ძიებაში არ დაკარგო შენი შინაარსი“.

მთავარი მისი უცნაურობა კი ალბათ ის იყო, რომ ათეისტურ საზოგადოებაში, ტოტალიტარული რეჟიმის გარემოცვაში, ერთ-ერთ ახველიანი ეკლესიური მორწმუნე იყო (მან ლიტერატურა შეარჩია ეკლესიასთან), ყოველთვის ჰყავდა მოძღვარი, აბარებდა აღსარებას. ესწრებოდა შაბათ-კვირის წირვა-ლოცვას, იცავდა მარხვას, გასცემდა მონაწილეს და ცდილობდა ყოველი მისი საქციელი სათნო ყოფილიყო ღვთისთვის.

ალბათ, ისიც უჩვეულოდ მოგვეჩვენება თუ გვეტყვიან, რომ ერთ-ერთი ძალიან ჰგავდა საკუთარ პერსონაჟებს, თუმცა ესეც ერთი შეხედვით, რადგან „ვანოს და ნიკოს“ ავტორი მძიმე ბედისა და ცხოვრების კაცი იყო. მან თავისი ლიტერატურული პერსონაჟების



მსუბუქი ისტორიები სწორედ თავისი მძიმე ცხოვრების საპირსონედ შექმნა.

ერთ-ერთი ცხოვრებისეული ტრაგედია კი მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დასრულდა. უდროოდ და ტრაგიკულად გარდაიცვალა მისი ორივე შვილი – ანუკი და ბაქარი. ახლა, როცა ერთ-ერთი ტანჯვით სავსე ცხოვრებას ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ სწორედ ამ დიდი ტკივილის საფასური გადაიხადა მან სიცოცხლეში...

ახლა აღარც ერთ-ერთი უახლოესი მეგობრები არიან ამქვეყნად – გურამ რჩეულიშვილი, ზურა კიკნაძე, დათო ჯავახიშვილი, ნოდარ მანაგაძე, გიორგი ოჩიაიანი, გიორგი შენგელია, რეზო ყარალაშვილი, თემო ჯავახიძე, გედიარ ფალავანიშვილი, გიორგი რევიშვილი... სამწუხაროა, რომ ისინი ხელს ვერ შეუშლიან სიყალბეს, რომელსაც ერთ-ერთი სხოვნა ყოველდღიურობის მტვერივით იკრავს...

მომავალში ერთ-ერთი პირობითი პორტრეტი თაობის „ჯგუფური“ ფოტოს ფონზე უნდა წარმოჩინდეს და გამოიკვეთოს მწერლის და კინოსცენარისტის ზუსტი და ობიექტური სახე. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც მკითხველის ცნობიერებაში ავტორ-შემოქმედი ავობებს ბიოგრაფიულ მწერალს, როცა ყველაფერი მის მხატვრულ ტექსტებში გადაინაცვლებს და მოვა მკითხველი, რომელიც ადამიანურ ხსოვნას აღარ ენდობა, ავტორის ნამდვილ ბიოგრაფიას მის შემოქმედებაში ამოიკითხავს, ტექსტში გაეცნობა.

და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო.

იყო სამართლიანობა და უსამართლობა. იყო დაუნდობლობა და პატიება. იყო მოკლული და მკვლელი, იყო სისხვე და სიცარიელეც იყო. და ჩვენ ყველანი აქვე ვიყავით.

და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და მასში შემოდიოდა ყველაფერი და ყოველი, რაც იყო და თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა: მოკლული და მკვლელი; შეურაცხყოფილი და შეურაცხმყოფელი; ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი; ნათელი და ბნელი; სიშორე და სიახლოვე; კანონი და უკანონობა; მზე, მთვარე და ვარსკვლავები...

შემოდოდნენ და პოულობდნენ ერთმანეთს, ესაუბრებოდნენ და ურიგდებოდნენ ერთმანეთს... და მშვიდდებოდნენ...

დაბოლოს, შემოვიდა მასში ის სკვდელი და თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა... ის კი იყო თავისთვის...

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მებრძოლი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატარაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პალა გველესიანი, მზია პარპაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ჰანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

პაპიო პაპიოს 2 პაპიო პაპიო
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003